პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პრ. [illegible]
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—53

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის—65 კ. დაწესებულებებისათვის [illegible]—33 კ. [illegible] გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ [illegible].
განცხადება: [illegible] სტრიქონი—20 კ. [illegible] ციფრებით—25 კ. [illegible] —5 [illegible]. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. [illegible] 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღიური

— გერმანიის ციხეებში მყოფ კომუნისტებმა სიმშილობა გამოაცხადეს.

— პოლონეთში გრძელდება [illegible].

— ლოძში გაფიცვა გამოაცხადეს [illegible].

— ესპანეთის ჯარმა მაროკოში დასტოვა ქალაქი ტეტუანი.

— გერმანიის ბურჟუაზიული პარტიები ერთმანეთს შორის მოლაპარაკებას აწარმოებენ მთავრობის შედგენის შესახებ.

— გადადგა ესტონეთის პრეზიდენტი.

138

შაბათი, 13 დეკემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 285 (1'40)

დაწესებულებების ნაყოფიერ მუშაობისათვის

საბჭოთა, სახაზინო, სამეურნეო და კოოპერატიული დაწესებულებების აპარატი აქამდი ცუდათ მუშაობს; იგი ვერ არის სათანადოთ მოწყობილი, მასში ხშირათ მეტათ დიდი ადგილი უჭირავს ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას. ყველა ზომები, რომლებიც მიღებული იყო ამ მიმართულებით და რომლებსაც ეხლა მიმართავენ, მეტათ ნაკლებ აღწევენ მიზანს: დეფექტები მეტათ ნელის ტემპით სწორდება. მაგრამ თუ „აპარატის" პრობლემა მთლიანათ, როგორც ახალი და მეტათ რთული ორგანიზაციული პრობლემა, აუცილებლათ მოითხოვს დროს მის გადასაჭრელათ,—აპარატის მუშაობაში არის ძირითადი ნაკლი, რომელიც ეხლავე უნდა იქნეს გამოსწორებული. ეს არის—სამუშაო დღის სუსტათ დატვირთვა.

რასაკვირველია, თუ ვიმსჯელებთ იმ პირების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც „დატვირთული" ტარიფით იღებენ ჯამაგირს და თუ მხედველობაში მივიღებთ ამ უკანასკნელის სიდიდეს, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველაფერი რიგზეა. ნამდვილათ კი სამუშაო დღე სრულათ არ არის გამოყენებული ჩვენს დაწესებულებებში. იმისათვის რომ დავრწმუნდეთ ამ შეხედულების სისწორეში, სრულიად საჭირო არ არის მივმართოთ ხრონომეტრაჟს ანდა მეცნიერული გამოკვლევის სხვა რთულ ხერხებს. ეს მეცნიერათ სჩანს უბრალო, შეუიარაღებელი თვალითაც. საკმარისია ერთი საათი დაჰყოთ რომელიმე სახალხო კომისარიატში, ტრესტში ანდა რომელიმე სხვა საბჭოთა დაწესებულებაში, რომ თქვენთვის აშკარა გახდეს, რომ ათეული ადამიანები მრავალჯერ და სრულიად უმიზნოთ ზომავენ გრძელ კარიდორებს, დიდ დროს კარგავენ [illegible] მოსვენების, ხელის მოწერის და ცნობების მოლოდინში; თქვენთვის აშკარა გახდება ისიც, რომ ისინი მუშაობაზე ხარჯავენ [illegible] სამუშაო დღის მხოლოდ მცირე ნაწილს. ამ უბრალო დაკვირვებას ადასტურებენ ის სპეციალური გამოკვლევები, რომლებიც [illegible] მუშათა და გლეხთა ინსპექციას და სხვა დაწესებულებებს. აპარატის ცუდათ მოწყობისა და სუსტი დისციპლინის წყალობით ტეხნიკური და პასუხისმგებელი მოსამსახურეების [illegible] დრო სრულიად [illegible] უხმარებლათ იხარჯება. ეს [illegible], სამუშაოზე დაგვიანება, სამუშაოდან დანიშნულ დროზე ადრე წასვლა ეს—თითქმის „ჩვეულებრივ" მოვლენათ გახდა. იშვიათად შეხვდებით ისეთ დაწესებულებას, სადაც მუშაობის დაწყებისას მთელი შტატი მოსული იყოს სამსახურში. ამრიგად, უამისოდაც არასაკმაოდ გამოყენებული მოსამსახურეების სამუშაო დღე ფაქტიურათ კიდევ უფრო მცირდება.

ეს თავაშვებულება, აპარატის არასაკმაო სიმტკიცე ყოველთვის ბოროტება იყო, რომლის წინააღმდეგაც საჭირო იყო ბრძოლა. ეხლა კი, როდესაც საკითხი შრომის ნაყოფიერების შესახებ პირველ რიგშია წამოყენებული, როდესაც ფაბრიკებში და ქარხნებში გაძლიერებული ბრძოლა სწარმოებს სამუშაო დროის მაქსიმალური შემჭიდროებისათვის, როდესაც მიღებულია ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ სამუშაო დროის არც ერთი წუთი არ დაიკარგოს ტყუილა, საკითხი მოსამსახურეების სამუშაო დროის გამოყენების შესახებ განსაკუთრებულ მწვავე ხასიათს იღებს.

დაწესებულებებთან საქმის დაჭერა უხდება თვითეულ მუშას. იბადება კითხვა: როგორი შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს მასზე მოსამსახურეების სამუშაო დროის ტყვილა დახარჯვამ, როდესაც ქარხანაში, ცეხში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მაქსიმალურად გადიდებული იქნეს შრომის ნაყოფიერება, როდესაც სამუშაო დღის სრულად გამოყენების შესახებ განუწყვეტლივ ლაპარაკობენ საწარმოო თათბირებზე, საერთო კრებებზე, როდესაც მთელი მუშათა კლასი ჩაბმულია შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში?

თუ საჭიროა შრომის ნაყოფიერების გადიდება,—ის გადიდებული უნდა იქნეს ყველგან და არა მარტო ქარხნებში. მაგრამ ეგრეთ წოდებულ გონებრივი შრომის მუშაკებისათვის შრომის ნაყოფიერების და ინტენსივობის საზომათ ითვლება სამუშაო დროის დატვირთვა. აი ამიტომ ეს ამოცანა დასმული უნდა იქნეს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით არა მარტო დაწესებულებების ხელმძღვანელების წინაშე, არამედ საბჭოთა მუშაკების, პროფკავშირის წინაშეც, რომელშიაც თავმოყრილია მოსამსახურეების მთავარი მასა. არ შეიძლება, რასაკვირველია, ვსთქვათ, რომ კავშირს ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია: ცოტა რამ კეთდება. მაგრამ ეს ცოტაა, ამას გარდა აპარატის „მუშაობის გაუმჯობესების საკითხში მეტათ სუსტათ არიან ჩაბმული თვით მოსამსახურეები.

ჩვენთვის აშკარა უნდა იყოს, რომ დაწესებულებების აპარატის სათანადოთ მოწყობა და სამუშაო დროის სრულათ დატვირთვა შეუძლებელია, თუ ამ ამოცანის შესრულების დროს გამოყენებული არ იქნა მოსამსახურეების მთელი მასური თვითმოქმედება ისევე, როგორც ეს მოხდა ქარხნებში შრომის ნაყოფიერების სფეროში.

ჩვენ სრულებით არ გვინდა ვსთქვათ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია კავშირისა ან მოსამსახურეებისაგან. აქ საჭიროა ორგანიზაციული ღონისძიებები დაწესებულებების ხელმძღვანელებისა, რომლებიც ყოველთვის არ იჩენენ საკმაო ინიციატივას და დიდ პატივს სცემენ დახავსებულ წესებს, ინერციას, „ერთხელ შექმნილ წესრიგს". მაგრამ ადმინისტრაციის უდიდესი ღონისძიებებიც უნაყოფო იქნება, თუ ამ საქმეს შეერთებულ დახმარებას არ გაუწევენ კავშირი და ყველა მოსამსახურეები.

ინგლისის თემთა პალატაში

ინგლისის თემთა პალატამ მიიღო უმრავლესობით საპასუხო მიმართვა მეფისადმი. კონსერვატორების და ლიბერალების ბლოკი მტკიცეთ გრძნობს თავს და შინაპარლამენტური ოპოზიციის შიში სრულიადაც არ აფრთხობს. კონსერვატორებს ლიბერალებთან შეუთანხმებლადაც შეუძლიათ თავისი რეაქციონური პოლიტიკის წარმოება, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის ლიბერალებიც მზად არიან მათი ზურგის გასამაგრებლად.

როგორც სჩანს მუშათა პარტიასაც თავდაჭერილად უჭირავს თავი და „მუშათა მთავრობის" ყოფილი მინისტრები სცდილობენ რეაქციონური მთავრობის წევრთა გულის მოგებას და მათი ნდობის დამსახურებას. მინისტრათ ყოფნის დროსაც ისინი ხომ უმთავრესად იმაზე სცდილობდენ რომ არაფერი ეწყენინებიათ და არ შეებღალათ შეძლებული კლასების ინტერესები. „მუშათა მთავრობის" ყოფილი თავმჯდომარე მაკდონალდს ძალიან მოსწონს მემკვიდრეობა საგარეო პოლიტიკაში და თუ მან გაბედა საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადება ესეც ხომ მისი აზრით სასარგებლოა ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობისთვის და ინგლისის ბურჟუაზიის უმრავლესობის ინტერესებისთვის.

[illegible]თა მთავრობის ყოფილი ფინანსთა მინისტრი სნოუდენიც პირდება ჩერჩილს მოკავშირეთა კონფერენციაზე ფინანსიური საკითხების განხილვის დროს თემთა პალატის ერთსულოვან დახმარებას. ერთი სიტყვით მუშათა პარტიის წარმომადგენლები სრულებითაც არ არიან ბრძოლის გუნებაზე, პირიქით ისინი ყოველ ნაბიჯზე სცდილობენ დაუმტკიცონ თავის ქვეყნის ბურჟუაზიას და მინისტრებს თავისი ერთგულება და ლოიალობა.

მართალია მუშათა პარტიის წარმომადგენლები შეკითხვებს აძლევენ მთავრობას ამხ. ზინოვიევის წერილის სინამდვილის შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ისინი არ იჩენენ დიდ გაბედულებას და სავსებით არ ააშკარავებენ კონსერვატორების თვალთმაქცური პოლიტიკის სიყალბეს და ვერაგობას. ეს მით უფრო სიძნელეს წარმოადგენს მათთვის, რომ ამხ. ზინოვიევის არარსებულ წერილის ისტორიაში თვით მათ ბელად მაკდონალდსაც აქვს მიღებული მონაწილეობა. წერილის სიყალბე თავიდანვე ცხადი იყო ყველა მათთვის, ვინც განზრახ არ იბრმავებდა თავს.

ინგლისის ეხლანდელ შინაგან საქმეთა მინისტრის ჯონსონ-ხიქსის განცხადება ხომ კიდევ მეტათ ადასტურებს იმ აზრს, რომ ამხ. ზინოვიევის წერილი კონსერვატორებს საარჩევნო კამპანიის მოსაგებლათ, მასში გამარჯვების მოსაპოვებლათ სჭირდებოდათ. რასაკვირველია, ისინი ამხ. ზინოვიევის წერილის დედანს ვერავის წარუდგენდენ, რადგანაც ასეთი არ არსებობს. ჯონსონ-ხიქსმა კიდეც განაცხადა თემთა პალატაში, „რომ მთავრობას არ აქვს არავითარი განზრახვა წარმოადგინოს ის საბუთები, რომლის შემწეობითაც იგი დარწმუნდა ზინოვიევის წერილის სინამდვილეში".

ამნაირათ კონსერვატორებს არ სურთ ხელის აღება იმ სიცრუის და ცილისწამების კამპანიაზე, რომლითაც ისინი წამოსკუპდენ ინგლისის მთავრობის სათავეში. კონსერვატორები განაგრძობენ ბურჟუაზიულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ.

მეორე მხრივ ინგლისის მუშათა კლასში იზრდება ლტოლვა და სიმპატიები საბჭოთა კავშირისადმი. „დეილი გერალდის" ფურცლებზე ტრედიუნიონების დელეგაცია აცხადებს, რომ კომინტერნის ყველა მიწერ-მოწერის დაწვრილებითი და ყოველმხრივი გაცნობის შემდეგ დელეგაციამ ვერავითარი ოდნავ დამამტკიცებელი საბუთი ვერ ნახა ზინოვიევის წერილის არსებობის და ინგლისში რაიმე მისი მსგავსი საბუთის გადაგზავნის შესახებ. „ზინოვიევის წერილი ყალბია; ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და პრესამ გამოიყენეს ეს ყალბი დოკუმენტი გარეშე სახელმწიფოზე თავდასხმისთვის და ბრიტანეთის მუშათა პარტიისთვის ზიანის მისაყენებლათ".

აი მიუდგომელი და ობიექტიური განცხადება პერსელის და მისი ამხანაგების, მაგრამ ინგლისის პოლიტიკის მესვეურ რეაქციონერებს სიმართლე სრულებითაც არ აინტერესებთ. ისინი კვლავ სცდილობენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს რეაქციონური ძალების ამოქმედებას და სწორეთ ამ მიზნით მოგზაურობს ევროპაში ჩემბერლენი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს ერრიოსთან და მუსოლინთან. ინგლისის იმპერიალისტები—მათ საწინააღმდეგო მოძრაობას ინდოეთში, ეგვიპტეში და ყველა კოლონიალურ ქვეყნებში ბოლშევიზმის პროპაგანდით ხსნიან და მოითხოვენ ამ მოძრაობის შეჩერებას. მაგრამ ამ მოძრაობას ხომ მათი იმპერიალისტური პოლიტიკა ასაზრდოებს და საბჭოთა მთავრობა ხომ მათი იმპერიალისტური პოლიტიკის მოზიარე და პასუხისმგებელი ვერ გახდება. საბჭოთა კავშირი ვერავითარ დათმობაზე ვერ წავა ინგლისის იმპერიალიზმის მიმართ, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს, როგორც მთელი მსოფლიოსათვის ისე თვით ინგლისის მუშათა კლასისთვის.

ეს იმპერიალისტური პოლიტიკა უფსკრულისკენ მიაქანებს ინგლისის ბურჟუაზიას და ადრე თუ გვიან ის აუცილებელ შინაურ და საერთაშორისო გართულების წინაშე დადგება. ახლანდელი პარლამენტის უმრავლესობა ვერ უშველის მის საქმეს, ვერ იხსნის მას საბოლოო მარცხისაგან.

მუშათა პარტიის ბელადთა ღალატი და გამყიდველობა თანდათან უფრო აშკარა ხდება ინგლისელ მუშებისათვის, რომელთა მძლავრ კავშირებში-ტრედიუნიონებში იზრდება მემარცხენე ფრთა. მუშათა პარტიის ბელადები ამ საფრთხის საშიშროებას კარგათ გრძნობენ, როდესაც ტომასის პირით აცხადებენ, რომ „ტრედიუნიონებში ჩასახულ უმცირესობის მავნე მოძრაობის მოსპობა შეიძლება მხოლოდ აპერაციის საშუალებით". ჩვენ ვფიქრობთ რომ ვერც ამ საშუალებით მოსპობენ მუშათა კლასის იმ მოძრაობას, რომელიც დამხობით ემუქრება ინგლისის ბურჟუაზიას და მის მაჩანჩალა სოციალ-გამცემლებს.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ტრედიუნიონების დელეგაციის დასკვნები და შეხედულებები, რომლებიც მან გამოსთქვა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს. ამის თავდებია ინგლისის მუშათა კლასში რეფორმისტული ილუზიების თანდათანობითი გაფანტვა; და ამისვე თავდებია ინგლისის კოლონიებში მეტროპოლიის საწინააღმდეგო მოძრაობის გაზრდა. პარლამენტის უმრავლესობა ვერ შეაჩერებს ვერც მუშათა და ვერც დაჩაგრულ ხალხთა მოძრაობას.

ი. ბ.

სოციალური დაზღვევის შესახებ

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ეხლა ჩვენში მიმდინარეობს მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის კამპანია, რომელსაც მოჰყვება დამზღვევ ორგანოების გადარჩევა.

პირველი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ [illegible], [illegible] ლების თავის დროზე და [illegible] გადახდა სამეურნეო ორგანოთა და დაწესებულებათა მიერ. [illegible] სამეურნეო მუშაკი ეხლა [illegible] სოციალურ დაზღვევაზე გასაღებ თანხას, როგორც ერთგვარ ზედნართ ხარჯებს. ამიტომ ისინი ისწრაფვიან როგორმე შეამცირონ ეს ზედნადები საგასავლო ტვირთი.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ დასაზღვევი გამოსაღები შეადგენს ხელფასის ნაწილს, რომელიც უნდა იქნას გადახდილი ისე, როგორც მუშის ხელფასი.

დამზღვევ ორგანოებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა, რათა დასაზღვევი გამოსაღების მთელი 100 პროც. შედიოდეს დამზღვევ სალაროში. საჭიროა მემოღებულ იქნეს ისეთი წესი, რომ დასაზღვევ ფულს იხდიდენ ხელფასის გაცემის დროს.

თუ ჩვენ ვერ მივაღწიეთ დამზღვევ ორგანოებისადმი დავალიანების ლიკვიდაციას, მაშინ იძულებული ვიქნებით დავსვათ საკითხი დასაზღვევი დახმარების რაოდენობის შემცირებაზე. ყოველ შემთხვევაში თავის დროზე ვერ მივეშველებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ მუშა-მოსამსახურეთ.

ამის დაშვება კი ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ, ვიმეორებთ, დამზღვევ ორგანოსადმი დავალიანების მოსასპობად უნდა იქნეს მიღებული ენერგიული ზომები. ამისთვის ამ ორგანოებს შესაფერი უფლებებიც უნდა ჰქონდეთ მინიჭებული.

ამასთან რომ სამეურნეო ორგანოებმა თავიანთი მოვალეობა დამზღვევი ორგანოების წინაშე პირნათლად შეასრულონ და რომ ამავე დროს სოციალური დაზღვევა ანგარიშს უწევდეს სახალხო მეურნეობის მდგომარეობას და მისი განვითარების ინტერესებს,—საჭიროა დაზღვევის ორგანიზაციის ერთგვარი დაკავშირება სამეურნეო ორგანოებთან.

ამ მიზანს ისახავს შრომის კომისარიატთან უმაღლესი დამზღვევი საბჭოს შექმნა, რომელიც განზრახულია და ახლო მომავალში იქნება განხორციელებული.

პროექტის მიხედვით, ეს საბჭო იქნება შემდეგი შემადგენლობით: ოთხი წარმომადგენელი პროფკავშირთა საბჭოდან, ორი სახალხო მეურნეობის საბჭოდან, ერთი გზათა კომისარიატიდან და ერთიც ფინანსთა კომისარიატიდან. ამგვარად, კავშირებს და სამეურნეო ორგანოებს ეძლევათ თანასწორი წარმომადგენლობა. საბჭოს თავმჯდომარედ იქნება შრომის კომისარიატის წარმომადგენელი. ამ ორგანოს ასეთი აგებულება სოციალურ დაზღვევას უზრუნველყოფს არასასურველი გადახრიდან როგორც ერთის, ის მეორე მხრით.

საბჭოს ეკისრება სოციალურ დაზღვევის საქმის საერთო მოწესრიგება. დამზღვევი ორგანოები მას უდგენენ დასამტკიცებლად დებულებებს და ინსტრუქციებს, პენსიების და დახმარებათა ნორმებს და სხ. ამნაირად, ყოველგვარი ღონისძიება სოციალურ დაზღვევის დარგში შესწავლება ყოველმხრივ და საფუძვლიანად, როგორც მუშების ნივთიური ინტერესების, ისე მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით.

დაზღვევის საბჭოს [illegible] არ გულისხმობს შრომის [illegible] და [illegible] შემცირებას [illegible] საქმეში. [illegible] ხელმძღვანელი [illegible] მუშაობას. [illegible] უფლება აქვს [illegible] საბჭოს [illegible], რომელსაც იგი არამიზანშეწონილად ჩასთვლის.

რევოლუციამდე ჩვენ ვებრძოდით მეწარმოებელთა მონაწილეობას სოციალურ დაზღვევის საქმის გამგებლობაში. ეს სავსებით სწორი იყო ბურჟუაზიულ წყობილების დროს, როცა მეწარმოებელი სოც. დაზღვევის ორგანოში იცავდა მხოლოდ თავის ჯიბის ინტერესებს. მაგრამ სულ სხვა საქმეა საბჭოთა მეურნეობა. ჩვენი სამეურნეო მუშაკი იცავს არა კაპიტალისტის მოგებას, არამედ წარმოების, მრეწველობის ინტერესებს, რომლებიც ეკუთვნის თვით მუშათა კლასს.

დღემდე სამეურნეო ორგანოები არ მონაწილეობდნენ სოციალურ დაზღვევის ორგანიზაციაში, იყვნენ მხოლოდ გადამხდელები და ალმაცერად უყურებდნენ სოციალურ დაზღვევის საქმეს. ეხლა, ხსენებული საბჭოს შექმნით, ისინი მონაწილეობას მიიღებენ სოც. დაზღვევის საქმის ხელმძღვანელობაში და მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა არა მარტო როგორც გადამხდელებს. ამით აცილებული იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება დაზღვევის საქმის განვითარებაში და იქმნება პირობები დამზღვევი ორგანიზაციების, პროფკავშირების და სამეურნეო ორგანოების შეთანხმებული და საერთო მუშაობისათვის.

რევოლუციამდე არსებული დაზღვევი საბჭოები აგებული იყვნენ კლასთა ბრძოლაზე და მუშათა კლასის დამორჩილებაზე ბურჟუაზია და ბურჟუაზია-მემამულეთა სახელმწიფოს მიერ. ჩვენი დამზღვევი საბჭოები კი გამოხატავენ მუშათა კლასის მისწრაფებათა მთლიანობას მისი სამი ორგანიზაციულის-სახელმწიფოს, პროფკავშირების და სამეურნეო ორგანიზაციების სახით.

როცა ვლაპარაკობთ დაზღვევის საქმეზე, ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ დასაზღვევ თანხის მიზანშეწონილად გამოყენების საკითხს. საქმე ის არის, რომ მუშა-მოსამსახურეებში ჯერ კიდევ ურევიან ისეთი [illegible] ელემენტები, რომელნიც ცდილობენ მიიღონ დახმარება დამზღვევი ორგანოებიდან გარეშე აუცილებელი საჭიროებისა. ამისათვის ასეთი პირები იმიზეზებენ ავადმყოფობას, ან აზვიადებენ მას, იგონებენ სხვადასხვა შემთხვევებს. ამით ზარალდებიან დამზღვევი ორგანოები და ის ელემენტები, რომელნიც მართლაც უკიდურესად საჭიროებენ დახმარებას.

დახმარების უსაფუძვლო მიღებას უნდა გამოუცხადონ სასტიკი ბრძოლა დამზღვევ ორგანოებმა, აგრეთვე პროფესიონალურ კავშირებმა და თვით მუშათა მასსებმა.

X.

„ზინოვიევის წერილი"—აშკარა სიყალბეა

რუმინეთი უკმაყოფილოა იმით, რომ საბჭოთა კავშირს უბრუნდება გემები

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბოროტად გამოიყენა ყალბი დოკუმენტი. ბალკანეთის ბურჟუაზიულ პრესას არ მოსწონს ამხ. იოფფეს ელჩად დანიშვნა ავსტრიაში.—სოციალ-ჭორიკანა რენოდელი გაბრაზებულია კომუნისტების პოლიტიკით.—ოსმალეთში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ემიგრანტების უკან დაბრუნების საკითხის გამორკვევა.

ინგლისის დელეგაციის განცხადება

ინგლისის ტრედ იუნიონების განცხადება

ლონდონი. 10 დეკემბერი. „დეილი ჰერალდ"-ში დაბეჭდილია პერსელის და ბრამლის მიერ ხელმოწერილი დეპეშა „ზინოვიევის წერილის" გამო. დეპეშის ასლი გაეგზავნა ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს.

დეპეშაში ნათქვამია:

„ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციამ, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, განაგრძო საქმის დაწვრილებითი გამოძიება. იმ წინადადების თანახმად, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს ზინოვიევთან პირველ მოლაპარაკების დროს (სახელდობრ ის, რომ რუსული დოკუმენტები ზედმიწევნით ყოფილიყო გადასინჯული ინგლისის დელეგაციის მიერ, რათა გამორკვეულიყო ინგლისის მთავრობის და პრესის მიერ ზინოვიევისათვის წაყენებული ბრალდება) ინგლისის დელეგაციამ ზედმიწევნით განიხილა საქმის გარემოებანი. მან გადაათვალიერა ყველა დოკუმენტები, რომლებიც იგზავნებოდა იმ პერიოდში.

დელეგაციას აქვს ეხლა საშუალება გაცნობოთ შემდეგი:

მოხდა ყველა იმ დოკუმენტების ზედმიწევნითი განხილვა, რომელიც შედგენილი ყოფილა ამ ყალბი წერილის შედგენამდე და მის შემდეგ და არავითარი კვალი იმისა, რომ რაიმე ასეთი დოკუმენტი ყოფილიყოს გაგზავნილი ინგლისში მომხდარ არჩევნების დროს, არ აღმოჩნდა. განხილული იყო მთელი კორესპონდენცია, რომელიც კომპარტიის საქმეს შეეხებოდა იმავე პერიოდში და აღმოჩნდა რომ მოსკოვიდან არც ერთ საბჭოთა ან სხვა რომელიმე დაწესებულებას ზინოვიევის ხელმოწერილი რაიმე დოკუმენტი არ გაუგზავნია, თუნდაც ისეთი დოკუმენტი, რომელიც ცოტათი მაინც მოგვაგონებდეს „ზინოვიევის წერილს".

დელეგაციას შეუძლია წარმოადგინოს ამ განცხადების შემდეგი დამადასტურებელი საბუთები და სახელდობრ: „ზინოვიევის წერილი" წარმოადგენს სიყალბეს. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ და პრესამ გამოიყენეს ყალბი დოკუმენტი უცხო სახელმწიფოზე თავდასასხმელად და ინგლისის მუშათა პარტიისათვის ზარალის მისაყენებლად".

სოციალ-ჭორიკანები

პარიზი. 10 დეკ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში კამათის დროს, რენოდელმა, მიმართა რა ერრიოს, განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა არის საფრანგეთის კოლონიებში კომუნისტური მოძრაობის მეთაური. პოლ ფორი იმეორებდა რეაქციონურ გაზეთების ჭორებს და თავს ესხმოდა კრასინს, რომლის შესახებაც მოუთხრობდა დაუჯერებელ ამბებს. ერთ-ერთი ორატორი მემარჯვენე პარტიებიდან ამტკიცებდა თავის სიტყვაში, რომ ერრიომ და ჩემბერლენმა გადასწყვიტეს შექმნან ერთიანი ფრონტი ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

დამოკიდებულება ბელგიასთან

პარიზი. 11 დეკემბ. „ჰავასის" სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ ბრიუსელიდან, რომ ბელგიის მეფემ მიიღო გაზეთ „სუარ"-ის რედაქტორი პიერ დეი, რომელიც საბჭოთა კავშირში მიემგზავრება. მეფე დიდხანს ესაუბრა მას.

საფრანგეთის საელჩო მოსკოვში

პარიზი. 11 დეკემბ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ დაამტკიცა პროექტი კრედიტის გახსნისა საბჭოთა კავშირის მთავრობასთან საელჩოს დაარსების შესახებ.

პარიზი. 11 დეკემბ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში შეტანილია პროექტი საბჭოთა კავშირში საფრანგეთის საელჩოს დაარსების შესახებ.

რუმინეთი უკმაყოფილოა

ვენა. 10 დეკემბერი. რუმინეთის პოლიტიკური წრეები კვლავ ძალიან დაინტერესებული არიან იმ გემების ბედით, რომლებიც წაყვანილი იყო ვრანგელის მიერ და ეხლა უბრუნდება საბჭოთა კავშირს. „დიმინიაცა"-ს სიტყვით, რუმინეთის მთავრობას განზრახული აქვს გაუგზავნოს პარიზში საპროტესტო ნოტა გემების დაბრუნების გამო.

ურთიერთობა ოსმალეთთან

მოსკოვი. 10 დეკ. მოსკოვიდან ოსმალეთში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სარეპატრიაციო კომისია [illegible] თავმჯდომარეობით.

ტყუილად იწუხებენ თავს

ლონდონი, 11 დეკემ. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მაკ-ნეილმა პალატაში შეტანილ შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ მისი აზრით, საანკეტო კომისიის დაარსება საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სოციალური და სამრეწველო ცხოვრების დამოუკიდებლად განხილვის მიზნით, ამჟამად არ არის საჭირო. მაკ-ნეილის სიტყვით, ინგლისის მთავრობა საკმაოდ იცნობს საბჭოთა კავშირის მდგომარეობას და იმ მასალების გამოუქვეყნებლობა, რომლებიც მის განკარგულებაშია, არ შეეფერება საზოგადოებრივ ინტერესებს.

არ მოსწონთ ამხ. იოფე

ვენა. 10 დეკ. იოფფეს დანიშვნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლათ ავსტრიაში საბაბს აძლევს ბალკანეთის პრესის ნაწილს გაავრცელოს ჭორები, რომ საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს გააძლიეროს კომუნისტური პროპაგანდა და აირჩიოს საგიტაციო ცენტრათ ვენა.

გერმანიის კრიზისის შემდეგ

კომუნისტების დევნა.

ბერლინი. 11 დეკემბერი. [illegible] პარტიის შენობებში და „როტე ფანე"-ს სტამბაში პოლიცია ეძებდა ფურცლებს და მოწოდებებს. პოლიციის ზომები, როგორც სჩანს, მიმართულია აგრეთვე ჯარისკაცების კავშირის წინააღმდეგ, რომლის წევრების დიდი ნაწილი უკვე დაპატიმრებულია.

შტრეზემანი „ეცდება"

ნაუენი. 12 დეკემბერი. „ბერლინერ ტაგებლატი"-ს ცნობით შტრეზემანი ეცდება შეადგინოს ახალი ბურჟუაზიული კაბინეტი კონსერვატიული პარტიების მონაწილეობით. ასეთი კაბინეტის შედგენის შემდეგ, „ბერლინერ ტაგებლატი" მოელის ძლიერ ოპოზიციას დემოკრატების და სოციალისტების მხრივ.

მთავრობის გადადგომის მოლოდინში.

ნაუენი 12 დეკემბერი. ოთხი საათის თათბირის შემდეგ გერმანიის კაბინეტმა გადასწყვიტა შეიტანოს განცხადება გადადგომის შესახებ. კაბინეტის გადადგომის თარიღი შეთანხმებული იქნება, ალბად, კანცლერ მარქსის და პრეზიდენტ ებერტის თათბირის დროს, პარასკევს.

ბურჟუაზიული ბლოკი.

ნაუენი. 12 დეკემბერი. გერმანიის სახალხო პარტიის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა დაიწყოს მოლაპარაკება მთავრობასთან ბურჟუაზიული ბლოკის შექმნის მიზნით. შტრეზემანიც მიემხრო ასეთი ბლოკის შექმნას.

8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

ნაუენი. 12 დეკემბ. გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო ყრილობის პრეზიდიუმმა მიიღო რეზოლიუცია ვაშინგტონის კონფერენციის მიერ დაწესებულ რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ გერმანიას არ შეუძლია დაემორჩილოს მისი მეტოქე ქვეყნების კონტროლს, სანამ მარტო მის კისერზეა ომის მთელი საშინელებანი.

კომუნისტების სიმშილობა.

ბერლინი, 11 დეკემბ. რეიხსტაგის კომუნისტმა დეპუტატმა ურბანმა და ჰამბურგის ქალაქის საბჭოს წევრმა—კომუნისტმა ლევიმ, რომლებიც 4 დღის წინ მოათავსეს ციხეში, გამოაცხადეს სიმშილობა პროტესტის ნიშნად მათ განთავისუფლებაზე უარის თქმის გამო.

ამხ. პერსელის განცხადება

ლენინგრადი, 12 დეკემბ. უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებულ ცნობის გამო, რომელიც შეეხებოდა იმას, თითქოს პერსელმა მოსკოვში ყოფნის დროს ინახულა ესტონეთის საელჩო და დაემუქრა მას დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლით იმ შემთხვევაში, თუ ესტონეთში გაგრძელდა რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ,—პერსელმა განაცხადა შემდეგი:

მან, მართლაც, ინახულა ესტონეთის საელჩო, სადაც განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ესტონელი კომუნისტები დახვრეტილი იქნენ, მაშინ ინგლისის პროფკავშირები აიძულებენ ინგლისის მთავრობას, რომ მან გავლენა მოახდინოს ესტონეთზე. მუქარას კი დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლის შესახებ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

ლენინგრადი, 11 დეკ. „როსტას" კორესპონდენტთან საუბრის დროს ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარემ პერსელმა განაცხადა:

„ლენინგრადი ჩვენი მოგზაურობის უკანასკნელი პუნქტია. იგი აგვირგვინებს იმ საქმეს, რომლისათვის ჩვენ ჩამოველით საბჭოთა კავშირში. ლენინგრადმა მხოლოდ ერთხელ კიდევ დაადასტურა ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან. ეხლა ინგლისში ჩასვლის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომ ყველაფერი რაც რუსეთზე იწერებოდა პრესის ერთ ნაწილში—სიცრუე და ცილისწამებაა. ჩვენი მოგზაურობა მილიონ მუშების გულს აავსებს ახალი იმედებით. ინგლისის და რუსეთის პროფკავშირთა გაერთიანებით განხორციელდება ყველა მუშათა ორგანიზაციების გაერთიანების სანატრელი იდეა. ეს გაერთიანება უზრუნველყოფს პროლეტარიატის გამარჯვებას."

კომუნისტების დევნა საფრანგეთში

თეთრი ტერორის გაძლიერება

პარიზი. 10 დეკემბ. მემარჯვენე პრესა მოითხოვს მთავრობისაგან „უფრო გაბედულ მოქმედებას" კომუნისტების წინააღმდეგ. მწერალმა ბინე-ვალმერმა გამოაქვეყნა მოწოდება ყოფილ ჯარისკაცებისადმი, რომელშიც მოუწოდებს მათ ჩაეწერონ „პატრიოტთა ლიგაში".

წითელი კავშირის დემონსტრაციის აკრძალვა.

პარიზი. 10 დეკემბერი. საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო კომუნალური მოსამსახურეების უნიტარულმა კავშირმა.

უპატრონო ბავშვთა ბედი

ჯერ კიდევ იმპერიალისტურმა ომმა, შემდეგ სამოქალაქომ და ბოლოს 1922 წლის სიმშილობამ მრავალი შრომელი ჩააგდო უმწეო მდგომარეობაში. ბევრმა დაკარგა სახლი და კარი, მრავალმა—ჯანმრთელობა და ახდა ინვალიდი, ბევრიც სულ გამოესალმა წუთისოფელს და აი, ამ ხალხის შვილები დარჩნენ ქუჩაში უპატრონოდ.

ეს სოციალური უბედურება არა ერთს და ორს აღუძრავს მწარე ფიქრებს, როდესაც ქუჩაში ხელ-გამოწვდილ ბავშვებს დაინახავს. პირველ შეხვედრაზე მნახველი თავის წვლილს აიღებს, პაწია გამოწვდილ ხელში ჩაუდებს, მაგრამ, როდესაც ასეთ ხელებს ხვდება ყოველი ფეხის გადადგმაზე, ისიც ეჩვევა ამ გარემოებას და ეს ბუნებრივ მოვლენად ეჩვენება.

ქუჩაში დარჩენილი უპატრონონი კი თავის ბავშვურ სისპეტაკეს ჰკარგავენ. წანწალებენ, სიმშილობენ მთელი დღეობით და ხშირად კვირაობით თაც. სიშიშვლე, სუსხიან ზამთრის ღამეებში ქუჩაში კბილების კრაჭუნით გდება, საშინელი დამცირება, ტირილ-ყვირილი, ქუჩის მორევში გახვევა და ბოლოს და ბოლოს მცირეწლოვანთა დამნაშავეთა სკამზედ სხდომა—ეს არის ხვედრი იმ მოზარდ თაობისა, რომელიც დაუნდობელი ცხოვრების ქარტეხილმა გადაისროლა ქუჩის წიაღში.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ამ გარემოებას გულცივად ვერ მოეკიდება: ამ უმწეო ბავშვთა მოვლა-პატრონობა მისი საქმეა. იგი მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა დაეხმაროს ამ უპატრონო პატარებს, და გასაკვირი არ არის, რომ მათი პატრონობა მთავრობამ დამკვრელ ამოცანად დაისახა და ყოველ ივე ღონეს ხმარობს უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები მოათავსოს საბავშვო სახლებში. ის მზრუნველობა, რომელსაც დღეს მთავრობა იჩენს ბავშვთა სახლების მიზანშეწონილად მოწყობაში, მათი მოვლა-პატრონობაში, რომ შეიქმნეს პირობები მათგან ნამდვილი მებრძოლის, მომავალი ცხოვრებისათვის მომზადებული მოქალაქის მოსამზადებლათ,—აშკარად ღაღადებს იმაზე, რომ მთავრობა გულწრფელად მოწადინებულია ბავშვთა აღზრდა-მოვლის საქმეში.

მაგრამ იმ ეკონომიურ პირობების გამო, რომლებშიაც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება, ყოვლად შეუძლებელი აიყვანოს მთავრობამ თავისი მზრუნველობის ქვეშ ყველა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბავშვები. ამიტომაც იყო, რომ ამხ. ლენინი მოუწოდებდა ფართე მასსებს უპატრონო ბავშვთა დახმარებისაკენ. პირველ ხანებში ამ მოწოდებამ ყველანი აამოძრავა, საქმეს მხურვალედ მოჰკიდეს ხელი, იმედებიც იყო—ფართე მასსა და მრავალი დაწესებულებებიც ჩაებმებოდენ ამ საქმეში და გაჩაღდებოდა მუშაობა, მაგრამ სინამდვილემ ეს იმედები სავსებით ვერ გაამართლა.

მართალია, ტფილისში არსებობს ეგრედწოდებული „ბავშვთა დამხმარე საზოგადოება", რომელიც ამ დღეებში ხსნის ერთ საბავშვო სახლს, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. საჭირო არის არა მარტო არსებული საზოგადოების გამაგრება და გაღონიერება, რაიც შესაძლოა ფართე მასების ჩაბმით ამ საქმეში, არამედ ასეთი საზოგადოებების დაარსება ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეებში.

მე ვფიქრობ, რომ ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს ამხანაგები მეტ ყურადღებას მიაქცევენ, აამოძრავებენ თავიანთ ირგვლივ ფართე მასსების გულშემატკივრობას, დაანახვებენ მათ, თუ რას ნიშნავს ბავშვთა სახლები, ბავშვების უმწეო მდგომარეობიდან გამოყვანა.

საჭირო არის არა მარტო ცალკე პირებმა გაუწიონ დახმარება, არამედ დაწესებულებებმაც. დაწესებულებების ხელმძღვანელები, თუ მოისურვებენ, სულ ადვილად შესძლებენ თავისი დაწესებულებისა ან წარმოების შეუფერხებლად წვლილის გაღებას.

— რაიმე, ხშირად სულ უმნიშვნელო ხარჯების შემცირებით, ან სრულიად შეკვეცით.

ამისათვის საჭიროა ყველანი გაიმსჭვალონ ისეთი გულშემატკივრობით, სიყვარულით და მომავლის იმედების ბავშვებზე დამყარებით, როგორც ამას ჩვენი წინამძღოლი ამხ. ლენინი გვასწავლიდა. თუ ეს ასე იქნება, თუ ლენინის მოწოდება არ დარჩება უყურადღებოთ, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ იქნება,—ჩვენი ბავშვთა დამხმარე საზოგადოების საქმე და საზოგადოდ უპატრონო ბავშვთა ბედი სავსებით უზრუნველყოფილი იქნება, მით უმეტეს, რომ მათზე ასე თავგამოდებით ზრუნავს დღეს ჩვენი მთავრობა.

მაშ, ფართე ინიციატივა ამ საქმის ირგვლივ, საზოგადოებრივი ძალების ამოქმედება და მასში ფართე მასსების ჩაბმა—აი რა უნდა დავისახოთ ჩვენ მიზნად.

ქ. შ.

ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია ლენინგრადში

ლენინგრადის შრომის სასახლეში.

ლენინგრადი. 11 დეკ. დღის 2 საათზე ინგლისის დელეგაციამ ინახულა შრომის სასახლე, სადაც გაიმართა ხანგრძლივი მეგობრული საუბარი ლენინგრადის დღევანდელ მდგომარეობის, მრეწველობის მდგომარეობის და ლენინგრადის მუშათა შორის პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ. ინგლისელი ამხანაგები აძლევდენ მუშებს შეკითხვებს და დაწვრილებით იღებდენ პასუხს.

შემდეგ დელეგაციამ ინახულა ოქტომბრის რევოლიუციის მსხვერპლთა საფლავები.

დელეგაციის ჩასვლა.

ლენინგრადი. 11 დეკემბ. დღეს დილით ლენინგრადში ჩავიდა ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაცია, რომელიც დიდის ზეიმით მიიღეს ლენინგრადის მუშებმა.

თემთა პალატაში

ამხ. საკლატვალას შესწორება მეფის სიტყვის გამო.

ლონდონი. 11 დეკ. ინგლისის კომპარტიის ცნობით, საკლატვალა გამოვა თემთა პალატაში კომპარტიის სახელით შემდეგი შესწორებით მეფის სიტყვის გამო: „მინისტრების პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული ყველა პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლებისაკენ, ყველა საოკუპაციო არმიების ევაკუაციისა, ამ ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევის შეწყვეტისა და მათთვის თვითგამორკვევის და იმპერიისაგან ჩამოშორების უფლების მინიჭებისაკენ“.

ტერორი პოლონეთში

ვარშავა. 10 დეკ. სეიმში ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს გამოვიდა კომუნისტი კრულიკოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლონეთში მძვინვარებს თეთრი ტერორი და თვითნებობა პოლიციის, რომელიც ციხეებში მკლავს პოლიტიკურ პატიმრებს. „მოსახლეობა— განაცხადა კრულიკოვსკიმ—სავსებით სამართლიანად უპასუხებს სამხედრო-საველე სასამართლოებს ხანძარით და მემამულეების სახლებზე თავდასხმით.

შემდეგ გამოდის გლეხთა დამოუკიდებელი პარტიის თავმჯდომარე ვოევოდსკი, რომელმაც დაახასიათა მშრომელი გლეხობის მძიმე მდგომარეობა და სასტიკად გააკრიტიკა პოლონეთის მთავრობის იმპერიალიზმი, რომელიც ნთქავს ქვეყნის მთელს მატერიალურ საშუალებებს.

გაფიცულია 400 სახალხო მასწავლებელი.

ვარშავა. 10 დეკ. ლოძში გაფიცულია სახალხო სკოლების 400 მასწავლებელი, რომელთაც წარადგინეს მთელი რიგი ეკონომიურ მოთხოვნილებებისა. მეცადინეობა შეწყდა 69 სკოლაში.

ინგლისელ რკინისგზელების მოთხოვნილებანი

ლონდონი. 11 დეკ. რკინისგზელების ნაციონალურმა კავშირმა და რკინის გზების მოსამსახურეების ასოციაციამ 10 დეკემბერს გადასცეს თავიანთი მოთხოვნილებები რკინის გზათა კომპანიებს. მოსამსახურეების მთავარი მოთხოვნილებები ასეთია: ძირითადი განაკვეთის გადიდება, რვა საათის სამუშაო დღის დაცვა მემანქანეებისათვის და 86 საათის სამუშაო კვირის დაწესება მუშების სხვა კატეგორიებისათვის.

რაც შეეხება რკინისგზელების სამუშაო ხელფასს, შემოღებული უნდა იქნეს მინიმალური ხელფასი 16 შილინგი დღეში ყველა მემანქანეებისა და მატორზე მომუშავეებისათვის და 12 ნახ. შილინგი—ცეცხლის შემკეთებელთათვის. მანქანების მწმენდავებისათვის დაწესებული იქნეს 8 შილინგი ყოველდღიურად 16-დან 18 წლის ჰასაკში მყოფთათვის და 10 შილინგი—20 წლის ზევით.

შემდეგ მოთხოვნილებაში გათვალისწინებულია ნორმალური სამუშაო დღე 120 მილი გასავლელი გზა (100 მილი—მიწის ქვეშა რკინის გზებისათვის). ეხლა კი ნორმალური სავლელი გზა უდრის 140 მილს.

მესვრებისათვის, რომლებიც დაყოფილი არიან 7 კატეგორიად, უნდა დაწესდეს სამუშაო ხელფასი 63-დან 93 შილინგამდე ლონდონში და 60-დან 90 შილინგამდე—პროვინციაში — მტვირთავებისათვის უნდა დაწესდეს 63 შილინგი ლონდონში და 60 შილინგი—პროვინციაში.

მოთხოვნილებების განსაკუთრებული მუხლი შეეხება ზედმეტი საათების მუშაობას. ამას გარდა, პროგრამა აწესებს 12 ნორმალურ უქმე დღეს წელიწადში.

შემდეგი მოთხოვნილებები შეეხება პენსიონერებს. პენსიები უნდა მიეცეს ყველა რკინისგზელებს, რომელთაც მიუღწევიათ 50 წლის ჰასაკამდე, შეეხება აგრეთვე შრომის დაცვას, უზრუნველყოფილ სამუშაო დროს და სხვებს.

საფრანგეთის კომპარტიაში

პარიზი. 11 დეკემბ. საფრანგეთის ზნელ ბურჟუაზიულ პრესაში გამოქვეყნდა ე. წ. „საიდუმლო ცირკულიარი საფრანგეთის კომპარტიისა ყველა უჯრედებისადმი“.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურო აცხადებს, რომ გამოქვეყნებული „ცირკულიარი“ აშკარა სიყალბეს წარმოადგენს. ის შეთითხნილია აგენტებისა და პროვოკატორების მიერ. კომპარტია აფრთხილებს ყველა მშრომელთ ერიდონ და არ წამოეგონ პროვოკაციის ანკესზე.

მასიური ტერორი ესტონეთში

ლენინგრადი. 11 დეკემბერი. რეველიდან ჩამოსულები იტყობინებიან, რომ რეველში დააპატიმრეს ექიმი პოლიაკოვი და გადასცეს სასამართლოს იმისათვის, რომ აჯანყების დროს დახმარებას უწევდა დაჭრილ აჯანყებულებს.

რეველის მუშათა რაიონში, სადგურის მახლობლად სათითაოდ გაჩხრიკეს მუშების ოჯახები. ესტონეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ გაჩხრეკამ „ბრწყინვალე შედეგები“ გამოიღო, მაგრამ სახელდობრ რა—ეს არ არის ნათქვამი. მთელს ესტონეთში გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს. „თავდაცვის ლიგის“ წევრების შესაკრებად გენერალმა ლეიდნერმა გასცა ბრძანება, რომლის მიხედვით ყველა, ვინც კი მიუახლოვდება დარაჯს 14 ნაბიჯის მანძილზე დაუყოვნებლივ დახვრეტილი იქნება.

მასიური ტერორი, რომელიც მოედო მთელს ესტონეთს, თავს დაატყდა მთელი თავისი სიმძიმით არა მარტო მოზრდილებს, არამედ ბავშვებსაც: რეველის ციხეში დაპატიმრებულია რამოდენიმე ბავშვი, რომელთაც აბრალებენ დახმარების აღმოჩენას აჯანყებულებისათვის.

სხვა და სხვა ამბები

— **კულაკების ყრილობა.** კვირას ვარშავაში გაიხსნა პიასტას (გლეხთა ბლოკების) პარტიის ყრილობა, რომელსაც დაესწრო 1500 დელეგატი.

— **მორიგი საზიზღრობა.** კვირას საღამოს პოლონეთის პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა ვარშავის მუშათა უბნებში. დაატუსაღეს რამოდენიმე კომუნისტი.

— **გერმანიის უმუშევრები.** გერმანიის პროფკავშირების ცნობით ამ ჟამად გერმანიაში დახმარებას ღებულობს 420 ათასი უმუშევარი. სინამდვილეში კი იქ უმუშევრები სამჯერ მეტია.

— **პურს მაინც ვერ გააიაფებენ.** ბელგიის პარლამენტმა დაავალა მთავრობას საგანგებო ზომების მიღება პურზე ფასების დაწესების შესახებ.

— **[illegible].** ბელგიის მთავრობამ გასცა ბრძანება, რომ ბელგიის საზღვრებში არ იქნას შეშვებული კომუნისტი.

— **სეფე-სიტყვა.** გაიხსნა ინგლისის თემთა პალატის (პარლამენტის) სესია, რომელზედაც მეფემ წარმოსთქვა სეფე-სიტყვა.

— **ფაშისტების წინააღმდეგ.** იტალიაში ფაშისტების ერთ ბელადთაგანს ფარინაჩის ესროლეს რევოლვერი. ფარინაჩი გადარჩა.

— **კომუნისტების დევნა.** ამ უკანასკნელ დღეებში პარიზის პოლიციამ დაატუსაღა 12 კომუნისტი.

ერრიოს წინააღმდეგ ქ. რუბეში (საფრანგეთი) კომუნისტებმა ერრიოს წინააღმდეგ მოაწყვეს დიდი დემონსტრაცია. პოლიცია და სოციალისტები ყოველგვარ ზომებს ღებულობდენ, რომ კომუნისტებისათვის ხელი შეეშალა.

— **პრუსიის ლანდტაგში.** გერმანიის კომპარტიამ პრუსიის ლანდტაგში (პარლამენტში) გაიყვანა 44 დეპუტატი.

მუშკორების ყრილობა

მუშკორების საერთაშორისო კავშირი.

მოსკოვი. 12 დეკ. 11 დეკ. სხდომაზე მოსმენილი იქნა აგრეთვე ამხ. ბელაკუნის მოხსენება მუშკორების საერთაშორისო კავშირის შესახებ. ბელაკუნი აცნობს კრებას მუშკორთა საერთაშორისო მოძრაობას.

შემდეგ სიტყვა ეძლევა თათპირ- [illegible] ბუნაზე გამოჩენა მქუხარე ტაშს იწვევს. კამენევი ამბობს, რომ მუშკორების, სოფლის კორესპონდენტების, სამხკორების და ახკორების ქსელი უნდა გავრცელდეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში. მათი ამოცანაა — დაუკავშირდენ ცენტრს და სისწორით, პატიოსნურად შეატყობინონ [illegible] ჩვენ [illegible] ხელებს.

რა ხდება უცხოეთში

რით არიან უკმაყოფილო ესტონეთის მუშები და გლეხები

ესტონეთში 1922 წლის აღწერით 1.250.000 მცხოვრებია. ესტონეთი წარმოადგენს უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას.

1919 წ. გატარებული იქნა მიწის რეფორმა, რომელსაც თითქმის არ შეუცვლია გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა, რადგან გერმანელ მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწა გლეხებს იჯარით მიეცა მეტად მძიმე პირობებში.

ომმა ძლიერ სუსტი გავლენა მოახდინა ესტონეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე. მაგრამ ესტონეთის ახალმა მმართველებმა 1919 წ. თეთრგვარდიელ გენერლებისა და იმპერიალისტების კარნახით მოაწყვეს თავდასხმა ჩვენს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაზედა ამ უაზრო ომმა ძლიერ არივდარია ესტონეთის ფინანსიური მდგომარეობა. მთავრობა იძულებული გახდა აემუშავებია ფულის საბეჭდი მანქანა. 1922 წლის პირველი იანვრისათვის ესტონეთის საგარეო ვალი უდრიდა 6,548 მილიონ ესტონურ მარკას *), ამას გარდა ესტონეთს მართებდა ინგლისის 19 მილიონი გირვანქა სტერლინგი, რომელიც ისესხა აგრარული რეფორმის გასატარებლად.

ხარჯების დასაფარავად სახელმწიფო მიმართავდა მონოპოლიას მაგარი სასმელების გაყიდვაზე.

იმპორტი (საქონლის შემოტან) სჭარბობს ექსპორტს (საქონლის გატან ს).

	1921 წ.	1922 წ.	1923 წ.
იმპორტი	4.486	5.589	9.332 მილ. ესტ. მარკა
ექსპორ.	2.287	4.812	5.712 მილ. ესტ. მარკა
ამრიგად იმპორტი სჭარბობს ექსპორტს	2.199	777	3.620 მილ. ესტ. მარკა

ესტონეთის მრეწველობის მდგომარეობა ვერ არის ნაინცა და მაინც სახარბიელო. ომამდე არსებული ძლიერი წარმოება მუშაობდა უმთავრესად რუსეთის ბაზრისათვის. ამჟამად, როცა საბჭოთა კავშირში უცხოეთიდან საქონლის შემოტანა შეზღუდულია, რადგან ჩვენ ვცდილობთ საკუთარი ნაწარმოებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნილებები, ესტონეთის მრეწველობა ვერ პოულობს ბაზარს და წარმოება შემცირებულია, ესტონეთის ექსპორტში მთავარ როლს თამაშობს ხე-ტყე და შემდეგ ქართოფილის სპირტი.

სახელმწიფო ძლიერ პატარაა (სულ 40 ათასი კვადრატიული ვერსი) იმისათვის, რომ შეადგინოს დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეული და ფართე შესაძლებლობა მისცეს საწარმოო ძალების განვითარებას, 1923 წ. ნოემბერში ლატვია და ესტონეთი შეთანხმდენ საბაჟოების მოსპობის შესახებ ორივე რესპუბლიკას შორის. ეს შეთანხმება ძალაში უნდა შესულიყო 1924 წლის მაისში, მაგრამ ეს არ მოხდა, ვინაიდან ამ შეთანხმების წინააღმდეგ გაილაშქრა ინგლისმა, რადგან ამ ხელშეკრულებით ილახებოდა მისი ეკონომიური ინტერესები ლატვიაში.

1922—1923 წ. წ. ინგლისი და გერმანია დიდ მონაწილეობას იღებდენ ესტონეთის ვაჭრობაში. მათ შემოჰქონდათ ესტონეთისათვის საჭირო საგნების და საქონლის უდიდესი ნაწილი. მაგრამ წრეულს ამ სახელმწიფოებიდან იმპორტი შესამჩნევად შემცირდა, რადგან ესტონეთი ვერ ახერხებს თავისი ვალების გადახდას.

მრეწველობის დაცემა და გლეხობის უკმაყოფილება მიწაზე დიდი საიჯარო გადასახადით იწვევს მოძრაობას ესტონეთში ამ ჟამად არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

ამ მოძრაობას სასტიკად ებრძვის და სისხლში ახრჩობს ესტონეთის ბურჟუაზია ესტონელ მენშევიკებთან ერთად.

ამ ორი კვირის წინეთ გაასამართლეს 149 კომუნისტი, რომელთაც ბრალად ედებოდათ „არსებული წესწყობილების დამხობის ცდა“. ამ მებრძოლებისათვის გამოტანილმა განაჩენმა გამოიწვია რეველის მუშების აჯანყება. ეს აჯანყება რეველში საშინელი სისასტიკით ჩააქრეს. შეტაკების დროს დახოცილთა გარდა, სამხედრო-საველე სასამართლომ დახვრიტა 50-ზე მეტი კაცი, ბევრს კიდევ ასეთივე ხვედრი მოელის. მთელს ესტონეთში გამოცხადებულია საალყო წესები და ძალაუფლება გადაეცა ფაშისტ გენერალს.

უკანასკნელი ცნობებით აჯანყება კიდევ არ ჩაუქრიათ. ქალაქში დამარცხებული ამბოხება ახლა სოფლებს ედება და ბევრ კუთხეებში გრძელდება ბრძოლა ჟანდარმებსა და რევოლიუციონურ გლეხობას შორის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ლენინგრადის სამეცნიერო მუშაკების რეზოლიუცია.

ლენინგრადი. 11 დეკ. ლენინგრადის სამეცნიერო მუშაკების კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ესტონეთში ექიმ პოლიაკოვის დახვრეტის შესახებ, რომელიც დახმარებას უწევდა დაჭრილ რევოლიუციონერებს, დაადგინა პროტესტი განაცხადოს მისი დახვრეტის წინააღმდეგ და მიმართოს ყველა კულტურულ ერებს წინადადებით შეუერთდენ ამ პროტესტს ესტონეთის ბურჟუაზიის ახალი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

ახალი წყალდიდობის საფრთხე ლენინგრადში.

ლენინგრადი. 11 დეკ. 11 დეკემბრიდან დილით წყლის დონე ნევაში ზევით იწევდა და 11 საათზე ავიდა ორი ფუტით უფრო ზევით, ვიდრე ჩვეულებრივ. ხანგამოშვებით ძლიერი ქარი აჩერებდა წყლის აწევას. ნევას წყლის საზომ პოსტერზე სწარმოებს მორიგეობა. დასავლეთის ქარის გაძლიერების შემთხვევაში მოსალოდნელია წყალდიდობა. ოხტის დაბლობ ნაპირებს წყლით დაფარვა მოელის.

ინჟინერთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი. 10 დეკ. 9 დეკემბერს გაიხსნა ინჟინერების მეორე საკავშირო ყრილობა. ინჟინერთა ცენტრალური სექციის ბიუროს თავმჯდომარე სტროევი ხსნის ყრილობას და ლაპარაკობს, რომ საბჭოთა კავშირში არის 50.000 ინჟინერი, გაერთიანებული პროფკავშირებში. ყრილობამ უნდა შეიმუშაოს ზომები სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უკეთესად დასაკმაყოფილებლად.

მისალმება საფრანგეთის ინჟინერებისაგან.

ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივსცა ამხ. ლენინის ხსოვნას. შემდეგ საფრანგეთის ინჟინერების სახელით ყრილობას ესალმება საფრანგეთის ინჟინერთა ასოციაციის წარმომადგენელი რეი (კომუნისტი), რომელიც აღნიშნავს, რომ ის საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ ისწავლოს რუსეთის პროლეტარიატისაგან ცხოვრების ახალ საფუძველზე გადახალისება. ყრილობა მას ესალმება ხანგრძლივი ტაშისცემით და ადგენს არჩეული იქნეს ის პრეზიდიუმის წევრად.

რ. კ. პ. დროშის ქვეშ.

რ. კ. პ. ცეკას სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ბუხარინი, რომელსაც ხვდებიან მქუხარე ტაშისცემით. ბუხარინი დაწვრილებით ჩერდება საბჭოთა კავშირის საგარეო და შინაურ მდგომარეობაზე, ეხება ინტელიგენციის როლს მეურნეობის აღდგენის საქმეში, ეხება რა ინჟინერების როლს მეურნეობის აღდგენის საქმეში, ბუხარინი ამბობს, რომ ამ მხრივ მათ ეკუთვნით მომავალი. ეხლანდელი ინჟინერი წარსული დროის ინჟინერისაგან განსხვავდება მით, რომ ეხლა სპეციალისტ ინჟინერს მოეთხოვება არა მარტო თავისი სპეციალობის ცოდნა. ინჟინერს, როგორც საერთოდ ყველა სხვა სახის სპეციალისტს, ჩვენ ვეუბნებით: მეტი შემოქმედებითი გაქანება, მეტი საზოგადოებრიობა. ჩვენ გვინდა საზოგადოებრივი მუშაკის და ტექნიკოსის შეერთება. რევოლიუციამ, მიუხედავად ყოველგვარი ნგრევისა, ნიადაგი მოუმზადა გრანდიოზულ აღმშენებლობას.

„პარტიის ცეკას სახელით —ამბობს ბუხარინი — მე მოგიწოდებთ თქვენ კიდევ უფრო გაბედულად იაროთ ამ დროშის ქვეშ“. ყრილობის პრეზიდიუმის წინადადებით, ყრილობა მისალმებას უგზავნის რ. კ. პ. ცეკას.

ყრილობა საპატიო თავმჯდომარეთ ირჩევს ტომსკის და პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ—რიკოვს, კალინინს, კამენევს, ზინოვიევს, სტალინს და ბუხარინს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

სამშენებლო მასალის დამზადება

ერევანი. 12 დეკ. კომუნალური მეურნეობა შეუდგა სამშენებლო მასალის მომზადებას მომავალ სეზონისათვის. მასალა დამზადებული იქნება დიდი რაოდენობით. პარალელურად მასალას ამზადებს ამხანაგობა „შინარარი“. უკვე [illegible] ხსნის კირის, აგურის და კრამიტის ქარხნას.

მიწათმოწყობა

ერევანი. 12 დეკ. ამას წინად დამთავრებულმა მიწადმოწყობის მუშაკების თათბირმა სომხეთის კომპარტიის ცეკას და სომხეთის ცაკს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მიმდინარე [illegible] ყობის სამუშაოებს 98 პროც. მიწებით დაკმაყოფილებული არიან ყველა ეროვნული უმცირესობანი: თურქები, მალაკნები, ქურთები, აისორები, ებრაელები და სომეხ-ლტოლვილები. ეხლა ამ ეროვნულ უმცირესობათა გლეხებს შორის არ მოიპოვებიან უმიწაწყლო და მცირე მიწაწყლიანი გლეხები.

ახლად ჩამოსულ სომეხ ლტოლვილთა დასაბინავებლათ თათბირი წინადადებას იძლევა ფართოთ გამოყენებული იქნეს მდიდარი სოფლების თავისუფალი მიწების ფონდი: ამასთანავე ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების განვითარებას.

პარტიული ცხოვრება

უპარტიო გლეხობა უნდა ჩავაბათ საბჭოებში

თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენციამ, რომელიც დამთავრდა ამ რამოდენიმე დღის წინად, მოისმინა ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანების შესახებ. ამხ. ორჯონიკიძემ და ამასთანავე კონფერენციამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, იმ გარემოებას, რომ პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ფართე უპარტიოთა მასსების აქტიურათ ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში.

სხვათა შორის ამ თავითვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს კომუნისტურ პარტიას იმ პირობებში, რომელშიაც მას უხდებოდა დღემდე მუშაობა, არ შეეძლო განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ამ საკითხისათვის. მიზეზი ამისა კი მდგომარეობს იმაში, რომ წარსულ საანგარიშო პერიოდში ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი ჰქონდათ სხვა მიმართულებით, სხვა ფრონტზე. როგორც ვიცით, მენშევიკური და ანტისაბჭოთა პარტიები ჰერქვეშ აწარმოებდნენ გაცხოველებულ მუშაობას თავიანთი ბნელი მიზნების მისაღწევად და ცდილობდნენ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება. კომპარტიას, როგორც მმართველ და მუშათა და გლეხთა პარტიას, ამ შემთხვევაში უთუოდ შეტევაზე კონტრ-შეტევით უნდა ეპასუხა და თავისი მუშაობაც წარემართა ამ არალეგალურ კონტრრევოლიუციის ლიკვიდაციისაკენ. ლიკვიდაცია არალეგალურ კონტრრევოლიუციისა,—აი ის მთავარი ლოზუნგი, რომლის გარშემო დარაზმულიყვნენ ჩვენი პარტიული ამხანაგები და რომლისადმი პარტიაში ძლიერ ეძლეოდა მნიშვნელოვანი ყურადღება. მაგრამ დღეს, როდესაც ეს ამოცანა თითქმის საბოლოოდ შესრულებულია, როდესაც ანტისაბჭოთა პარტიების ფრონტი სავსებით და მთლიანად განადგურებულია როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად და აგვისტოს ავანტიურისტულ გამოსვლებშიაც მათ იგემეს სამარცხვინო კრახი და კოვზიც ნაცარში ჩაუვარდათ,—ჩვენ გვმართებს ენერგიულ მუშაობა ვაწარმოოთ უპარტიო მასსებს შორის და ამჟამად ამ საკითხს მივაქციოთ სერიოზული ყურადღება. ეს მით უმეტეს, რომ აგვისტოს დღეების შეფასებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სოფლად მუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებს და უპარტიო გლეხობის შორის წარმოებული მუშაობაც არ სდგას თავის სიმაღლეზე.

უპარტიო მასსა ჩვენ უნდა უთუოდ ჩავაბათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და როდესაც ვიწყებთ ამ მიმართულებით მუშაობას, კარგად უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ამხ. ლენინი ყოველთვის და მუდამ ამბობდა იმას, რომ სოციალიზმის და კომუნიზმის შენება სავსებით შეუძლებელი და წარმოუდგენელია უპარტიო მასსების გარეშე, რომ მარტო კომუნისტური პარტია ვერ შესძლებს ამ მეტად დიდ და რთულ ამოცანების ცხოვრებაში გატარებას.

ახლო ხანში მოხდება საბჭოების ხელახალი გადარჩევა. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა აქ უნდა გამოიჩინონ თავიანთი ცხოველმყოფელობა და მთელი თავისი შესაძლებლობით ამოძრავდნენ, რათა თავის მხრივ ამოქმედონ მშრომელი უპარტიო გლეხური მასსებიც მათ საბჭოების ხელახალ არჩევნებში და არამც თუ მარტო არჩევნებში, არამედ თვით საბჭოებში ჩასაბმელად. კიდევ მეტიც: უპარტიო მასსების ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში უნდა განისაზღვროს არა მარტო სოფლის საბჭოების მასშტაბით, არამედ სამაზრო და საქალაქო საბჭოების მასშტაბითაც. ლოზუნგი, რომლითაც უნდა გავიდეთ ჩვენ საბჭოების არჩევნების დროს, უნდა იყოს: „არა ნაკლები 40 პროცენტი უპარტიო გლეხობისა საბჭოებში“, როგორც ეს გადმოისროლა თბილისის პარტიულ კონფერენციაზედ ამხ. სერგო ორჯონიკიძემ.

რასაკვირველია, საბჭოებში უნდა ჩავაბათ ისეთი უპარტიო გლეხობა, რომლებიც საერთოდ და მთლიანად სდგანან საბჭოთა პლატფორმაზე, რომლებიც გულწრფელად მოწადინებული არიან თავიანთი პატიოსანი შრომით და ენერგიით ემსახურონ ჩვენს, პროლეტარულ სახელმწიფოს განმტკიცებას და არა ისეთები, რომლებიც უპარტიოთა ქურქში გახვეული საბჭოებში შეეცდებიან გაატარონ ანტი-საბჭოთა ხაზი და პოლიტიკა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვმართებს დიდი სიფრთხილე, რომ ვინმე „უპარტიო“ გაიძვერა ელემენტებმა არ გამოიყენონ ეს შემთხვევა.

საერთოდ კი ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უპარტიო გლეხობისადმი დამოკიდებულების საქმეში უნდა აიღონ კურსი პარტიული კონფერენციისა.

შ. ა—ძე.

ქალთა შორის მუშაობა ხაშურში

უკანასკნელ ხანებში ხაშურის ქალთა მოძრაობაში მოხდა საგრძნობი ცვლილება.

ქალთა ორგანიზაციაში ებმებიან ქალები ისეთ ოჯახებიდანაც კი, რომლებიც უწინ დაჟინებით გაიძახოდენ, რომ ქალის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს მხოლოდ ოჯახური საქმიანობა, რომ გარდა ოჯახისა, არ აქვთ უფლება ჩაებან სახელმწიფოს და საზოგადოებრივ მუშაობაში.

ოჯახის ქალები, დიასახლისები, მუშის და გლეხის ცოლები სრული შეგნებით ხვდებიან ამ გადახალისების ფაქტს. ისინი კიდეც ჩაებნენ საერთო ფერხულში და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიისწრაფვიან საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისაკენ.

ხაშურის ქალთა ასეთი გამოფხიზლება თავდებია იმის, რომ ამ ახლო მომავალში მთელ ხაშურის რაიონში ტალღასავით მოედება შეგნება მამაკაცთან თანასწორ-უფლებიანობისა. აი ერთიც უტყუარი საბუთი ამისა.

წარსულ სადელეგატო ქალთა კრებაზე ამხ. ალექსანდრე [illegible] გააკეთა მოხსენება წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის შესახებ. მან ნათლად გაუშუქა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მნიშვნელობა და ქალების როლი ამ მიზნის განხორციელებაში. მოისმინა რა ეს მოხსენება, ქალთა სადელეგატო კრებამ გამოსთქვა სურვილი გასწიოს ფართე აგიტაცია ყველგან ამ დიადი მიზნის მისაღწევად, განსაკუთრებით კი სოფლებში, რადგანაც წერა-კითხვის უცოდინარი სოფლად უფრო [illegible] ძლიერად ამისათვის კი არ დაზოგონ ენერგია ამ [illegible] გადალახვისათვის, რომელიც მათ გადაეღობებათ წინ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მუშაობა არ იქნება განსაზღვრული მხოლოდ ხაშურით. ეს მუშაობა გადატანილი იქნება მთელს მაზრაში.

მარკა.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ქართულ-სამხედრო მეთაურთა სკოლაში

ქართული სამხედრო მეთაურთა სკოლის შეფად 1922 წლიდანვე ითვლება ქალაქის ალმასკომი, რომელიც განსაზღვრულ დრომდე უწევდა მას მხოლოდ მატერიალურ დახმარებას. მხოლოდ შემდეგ კი ალმასკომმა აიღო მასზედ კულტურული შეფობა.

ერთხელ მომიხდა გავცნობოდი ამ სკოლის კულტურულ მუშაობის მხარეს, რომელმაც არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე.

როდესაც ათვალიერებთ კურსანტების ნამუშევარს, მას მოჰყავხართ განცვიფრებაში: სკოლის სხვადასხვა კუთხეებში ხედავთ სურათებიდან გაკეთებულ ჰაეროპლანებს, რკინის გზებს ჰაფარებლებს და სხვ. ერთ-ერთ კუთხეში ნახავთ აშენებულ ფიცრის ჰალლობს, რომელსაც მინიანი კარები აქვს, აღებთ კარებს და შიგ ხედავთ წითელ მატერიაში გახვეულ კუბოს, სადაც მოსჩანს ლენინის სახე. საოცნებოა მათი კლუბი, ლენინის კუთხე. კედლები სავსეა სურათებით და პორტრეტებით, რომელიც გიზიდავთ თავისი მშვენიერი სილამაზით. აქ შეხვდებით ყველა განყოფილებებს „მოპრის“, ავიაციის და სხვა, აქვეა ერთი კედლის მთელ სიგრძეზე მშვენიერი მხატვრული სურათი, სადაც თვალწინ წარმოგიდგებათ კაცობრიობის განვითარების თვითეული საფეხური —პირველ ყოფილ კომუნიდან დღემდის. და განა შეიძლება აქ ჩამოითვალოს ყველა ნამუშევარი კულტურულ დარგიდან?

მიღებულ შთაბეჭდილებიდან ადამიანი მივა იმ დასკვნამდე, რომ ეს სკოლა მართლაც არის არა მარტო სამხედრო სწავლების სკოლა, არამედ ახალი, რევოლიუციონური კომუნიზმის სკოლაც. და როდესაც ალმასკომი იღებს კულტურულ შეფობას ამ სკოლაზედ, მან უნდა აღმოუჩინოს მას ყოველმხრივი დახმარება ურთიერთშორის მტკიცე და [illegible] კავშირის დამყარების მიზნით.

მხოლოდ აქ კი ამ თავითვე უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული მუშაობა სდგას თავის სიმაღლეზე [illegible] ფაქტია. აქ მოსჩანს სკოლის [illegible] მძღვანელების დაუღალავი ენერგია, შრომა, ინტერესი და სიყვარული თავისი საქმისადმი. ვაშა ასეთ [illegible] მძღვანელებს, რომლებიც არ ზოგავენ თავიანთ ძალღონეს და თავდადებული შრომით წვრთნიან ახალ-ახალ კადრებს მუშათა კლასის საბოლოო მიზნის, კომუნიზმის დასაგვირგვინებლად.

პარტკორი ნინა ხალირაშვილი

ამხ. იოკიმე სტურუას ხსოვნას

ა/წ. 10 დეკემბერს 3 საათზე ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ძვირფასი ამხანაგი ი. სტურუა, რომლის სახით საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დაჰკარგა ერთი საუკეთესო მებრძოლი.

ამხ. სტურუა პარტიაში მუშაობას იწყებს 1918 წლიდან. ამ დღიდანვე ერთგულად იბრძვის კომუნისტურ პარტიის რიგების გასამტკიცებლად და მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. გასაბჭოების დღიდან 1922 წლამდე იგი მუშაობს წითელ არმიაში, სადაც აწარმოებდა მხურვალე მუშაობას.

შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილებით, იგი მიმაგრებული იქნა ამხ. ი. ბრეგვაძესთან ერთად დუშეთის მაზრის ერთ-ერთ ჩამორჩენილ კუთხეში, სადაც მათ უხდებოდათ ბანდიტ ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა. ამხ. სტურუა მჭადიჯვრის რაიონში, სადაც ის იყო მიმაგრებული, არ შეიგავა თავის ენერგიას და მან ეს რაიონი კიდევაც თავის სიმაღლეზედაც დააყენა. აქ ამხ. სტურუა მუშაობდა შვიდ თვეს, შემდეგ, როგორც შეუდარებელი მუშაკი, ის გადაყვანილი იქნა ჰოპორტის რაიპარტკომის მდივნათ. აქაც ის შეუდგა თავისი არაჩვეულებრივი ენერგიით მუშაობას და ჰოპორტის რაიონისათვის ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ქურდ-ბაცაცა—ყაჩაღები არც აქ ასვენებდენ ამხ. სტურუას დაწყებულ მუშაობის დაბოლოებას და ოთხჯერ ეცემიან რაი-პარტკომის ბინას მისი მოკვლის განზრახვით. ამხ. აქაც იჩენს თავის რევოლიუციონერობას და ამ ბანდიტებთან უხდება სასტიკი ბრძოლა, საიდანაც ის გამოდის გამარჯვებული.

შემდეგ ამხ. სტურუა ინიშნება [illegible] ზალეთის რაი-პარტკომის მდივნათ. ის აქ რაიონში მუშაობს დაახლოვებით 5 თვეს, სადაც თავის დაუშრეტელი ენერგიით მეტად საგრძნობი კვალი დააჩინა როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობას.

მაგრამ ხანმოკლე დროის განმავლობაში ამხ. სტურუა ხელმეორედ იგზავნება ჰოპორტის რაიონში რაიკომის მდივნად. ამგვარათ დუშეთის მაზრაში მან გაატარა ორი წელი [illegible] პირიქით, მის ამა თუ იმ რაიონზე მიმაგრების დროს [illegible] და პარტიული ორგანიზაცია მოითხოვდა მის დატოვებას ადგილობრივად.

აი, ასეთი საუკეთესო [illegible] დღეს უკვე აღარ არის [illegible] ტიის რიგებში, მაგრამ მისი [illegible] და მისი დამსახურება, რომ [illegible] მიუძღვის დუშეთის მაზრის [illegible] დროს არ იქნება დავიწყებ [illegible] მშრომელი გლეხკაცობის მიერ.

შ. მიქელ

ოქტომბრის ჟურნალისტიკა*)

(ბაქოს სომხური „კომუნისტი“-ს მეათასე ნომრის ათვის)

ოქტომბრის მომავალ ისტორიკოს არ შეუძლია არ შეჩერდეს ამ ეპოქის პრესის მიმოხილვაზე. მაგრამ მას დააინტერესებს არა მარტო იმ გაზეთების და ჟურნალების შინაარსი, რომლებშიაც აწერილია იმ დროინდელი ამბები. ის შეუდგება იმ ფორმების განხილვას, რომლებშიაც გამოიხატა მაშინდელი გრძნობა, სულიერი განწყობილება და აზრები.

მართალია, ოქტომბრის რევოლიუციის თითქმის ყველა ხელმძღვანელები ნამდვილი ჟურნალისტები აღმოჩნდენ დიდი მარქსისტული ერუდიციით და ისინი კალამის და სიტყვის დახელოვნებული ოსტატები იყვნენ რევოლიუციამდისაც. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გაჩნდნენ ისეთი პუბლიცისტები, რომლებმაც ღირსეულათ წაიყვანეს საბჭოთა პრესა ჩვენი დიდი მასწავლებლის მიერ ნაჩვენები გზით.

სამოქალაქო ომის დროს ჩვენი პრესა მძლავრი ზურგი იყო ჩვენი არმიებისათვის, რომლებიც მრავალრიცხოვან ფრონტებზე იბრძოდენ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და საბჭოთა პუბლიცისტებმა, დაიპყრეს რა იმავე დროს მთელი რიგი დიდი და აპასუხისმგებლო თანამდებობები, შექმნეს მებრძოლების მეორე ძლიერი რაზმი.

მიმოხილვას უკეთებთ რა ჩვენს პრესას ახალი ეკონომიური პოლიტიკის დაწყებამდი, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ყველა ჩვენი პერიოდული გამოცემების მთავარი მოტივი იყო მხოლოდ პოლიტიკური საკითხები. მძლავრი ფრონტის შექმნა და მტრის საბოლოო განადგურების და ქვეყნის აღდგენის იდეა საბჭოთა ჟურნალისტიკის უშუალო ამოცანა იყო ოქტომბრის ეპოქაში.

პრესა ოქტომბრის დღეებში ცეცხლით და გამბედაობით იყო გაჟღენთილი.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენი ჟურნალისტიკის სფეროშიაც დროთა მიჯნათ გახდა.

წარსულში რჩებოდა სამხედრო კომუნიზმი, აქ კი იწყებოდა სამოქალაქო მშვიდობიანობა, იშლებოდა მშვიდობიანი აღმშენებლობის პერსპექტივები. საბჭოთა სისტემის განვითარების ამ ახალ პირობებში იქმნებოდა შრომის და ბრძოლის ახალი ორგანოები.

სათავეში მოექცა რა რევოლიუციონურ მოძრაობას, საბჭოთა პრესა საერთო ტონს აძლევდა მუშაობას და ხელმძღვანელობას უწევდა მასებს რევოლიუციონური ეპოქის ყველა პოლიტიკურ და ეკონომიურ ამოცანების შესრულებაში.

მე კარგათ მახსოვს, რომ ოქტომბრის და შემდეგი დროის დღეებში ჩვენ გატაცებული ვიყავით დიადი გრძნობით, რომ მივდიხართ კომუნიზმისაკენ და თვითეულ ჩვენს წერილში ვაქსოვდით მთელს ჩვენს განცდებს და გატაცებული ვიყავით მომენტის პოლიტიკური ლოზუნგებით.

მაგრამ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ შეანელა ჩვენი გატაცება. ლენინის პირველი სიტყვა ამ მიმართულებით ჩვენთვის გრგვინვა იყო მოწმენდილ ცაზე.

მაგრამ საბჭოთა ჟურნალისტებმა ერთბაშათ შეითვისეს თავისი ბელადის აზრი. როგორც მეზღვაურები გემზე ემორჩილებიან კაპიტანის სასტიკ ბრძანებას, ისე ჩვენც, საბჭოთა პრესის წარმომადგენლები, რომლებმაც შევიგნეთ აზრი ჩვენი ბელადის ბრძანებისა, რომელიც რევოლიუციის ღუღილის დროს გაისმოდა, გავყევით მას. როდესაც რევოლიუციის პროცესში გაისმოდა გზის მაჩვენებელი მისი გაბედული ბრძანება, ჩვენ მის მიერ ნაჩვენები გზით მივმართავდით საჭეს და მტკიცეთ მივდიოდით მიზნისაკენ.

ვიგონებ რა სამხედრო კომუნიზმის მომენტებს და ვცდილობ რა აღვადგინო მეხსიერებაში ამ ეპოქაში დაწერილი წერილები, მე უნებლიეთ რაღაც უხერხულობას ვგრძნობ.

სამწუხაროთ ჩვენ ხელთ არ გვაქვს სომხური „კომუნისტი“-ს ნომრები, რომელიც ბაქოში გამოდიოდა 1920 წელს; აქ ჩვენ [illegible] ვეხებოდით მრავალ საკითხებს და სამხედრო კომუნიზმის თვალსაზრისით [illegible] მათ. იმ პერიოდის ჟურნალისტიკის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა მისწრაფება პირდაპირ და გაბედულათ წავსულიყავით წინ, რომლის დროსაც ჩვენ ხანდახან თეორიულ დებულებებსაც კი ვლალატობდით. ასეთი გატაცებული მსვლელობის დროს ჩვენ ხშირათ გვერდს ვუვლიდით მაშინდელ ავათმყოფურ მოვლენებს. კრიტიკას მეტათ იშვიათათ ჰქონდა ადგილი. შეიძლება ნაწილობრივ ეს იმითაც აიხსნება, რომ იმ დროს, გატაცებისა და ღრმა განცდების პერიოდში, ჩვენ გვწამდა ჩვენი მუშაკებისა უცოდველობა და გვწამდა, რომ ყველა, როგორც ერთი კაცი, მზათ იყო სამსახური გაეწია საბჭოთა წესწყობილებისათვის.

მე არასოდეს არ დამავიწყდება ერთი უსახელო 'ავტორის' გესლიანი პასუხი ჩემს წერილზე საბავშვო სახლის შესახებ ბაქოში. წერილში „საბავშვო სახლი“ მე ვსწერდი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო იგი, ამავე დროს მე სრულიად გამომეპარა მხედველობიდან ის, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ის მაშინ. თავის პასუხში ავტორმა ამ დაწესებულებას უწოდა „სიკვდილის სახლი“. მართალია, ეს საბავშვო სახლი თავის მოწყობილობით უფრო „სიკვდილის სახლს“ წააგავდა. არა საკმაო კვება, ელემენტარული მოწყობილობის უქონლობა და ბოროტი დამოკიდებულება თავისი ადმინისტრატიული ხასიათის მოვალეობისადმი,—აი საბავშვო სახლის ნამდვილი სურათი. მაგრამ დღეს, რასაკვირველია, შედარებაც კი არ შეიძლება იმის, თუ რა იყო ეს საბავშვო სახლი წარსულში და რა არის ეხლა.

ეს შემთხვევა ჩვენ მოვიყვანეთ იმისათვის, რომ დავამტკიცოთ, თუ როგორი გამოუცდელი ვიყავით ჩვენ გუშინ და როგორ გულუბრყვილოთ ვეკიდებოდით საქმეს.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ და მასთან დაკავშირებულმა საკითხებმა ნიადაგი შექმნეს ახალი მოღვაწეობისათვის და ჩვენ გადავედით იმ პოზიციებზე, რომლებიც დაიკავეს ეკონომიკის საკითხებში ჩვენმა ბელადებმა. იგონებს რა განვლილ გზას, ჩვენი ჟურნალისტიკა [illegible] სთქვას, რომ მან გაიარა მთელი გამოცდები, მან რევოლ ცეცხლში გამოჰქედა თავისი ბიჯგო და თავისი სტილი ლა თამამათ შეუძლია შე ყველა კულტურული ქვეყნების სას. ჩვენს პრესას ეხლა ტექნიკურ მხრივ დიდი მიღწევები აქვს ლო მომავალში ის დიდ ა დაიჭერს მთელი მსოფლიოს ლიტიკაში.

რასაკვირველია, ყვითელი ჰისი კალმით მოვაჭრე ძალები რამოდენიმე ვერ შეედრება ჩვენ სას, რადგან ჩვენ შევდეგით გზაზე და განსაკუთრებული დავიკავეთ.

საბჭოთა ცენტრს—მოს სპეციალური კურსები, სა ესიან ჩვენი პუბლიცის ხვით ჩვენ გვეყოლებიან ტ ნ ები, არა ტები, არამედ თავისი საქმის ლისტები.

ძველი ყოველთვის იცვლება ლით—ასეთია ბუნების კანონი, რომ რევოლიუციონერმა პრესამ საკუთრებული გამოცდების გზა გ არა.

ვაავებთ რა ჩვენს მოკლე მოხ ლვას, ჩვენ გვინდა ორიოდ სიტყვა ვსთქვათ ჩვენი მუშკორ შესახებაც. მუშკორი—ეს თავი დროის შვილია. ის დაბადებული გამობრძმედილია ოქტომბერში. მუშკორი ღირსეული საბჭოთა ჟურნალისტია.

ძველი ჟურნალისტიკა ჩვენს თვა წინ უკანა რიგში გადადის, ის ტორიის მასალათ ხდება. ცალკე როვნებები უკვე აღარ თამაშობ მნიშვნელოვან როლს საბჭოთა პ საში. სცენაზე გამოდის მასიუ კოლეგიალური პუბლიცისტიკა, რ მელიც არის ახალი სულიერი გან წყობილების და ახალი წესწყობილე გამტარებელი.

დეე გაიზარდოს და გან საბჭოთა პრესა.

პრესას საერთოდ— მსოფლიო მეშვიდე სახე დებდა.

ჩვენი პროლეტარული პრ მუშაკები—მუშკორები და ს კორესპონდენტები—დაამხოენ ჟუზნის ცემ-იმაგრეს—მეშვიდე ხელმწიფოს.

ს. ხამ

---

*) ესტონური მარკა ნომინალურად უდრის 37 კაპეიკს, 1921 წ. შემოღებული იქნა მტკიცე პარიტეტი: ერთი გირვანქა სტერლინგი უდრის 1500 მარკას.

*) ამ წერილის გამოქვეყნება ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ტექნიკური მიზეზების გამო [illegible]

იბეჭდება და კვირის ნომერთან
ერთად „კომუნისტი“-ს ხელისმომწერლებს
დაურიგდება ჟურნ. „ჩირაღდანი“-ს № 22

შინაარსი: ი. წ. ჰენრიხ ჰეინე, ქიმიური ფანქარი—(მოთხრობა) ალ. ზ—ლი, ზეთის მხდელის სიმღერა (ლექსი)—შაქრო ნავთლუღელის, ბატონი და მოჯამაგირე—ბაჩანასი, პროფესორ გედდის გამოგონება (ფანტ. მოთხრობა)—დ. ხაჟურიძის, ლექსი—გ. ქუჩიშვილის, ჩემი სიმღერა (ლექსი)—გ. შინატბელის, კაპიტალის ტყვე (გერმანელი პროლეტარული პოეტი ერიხ მიუზამ), ციხეში დალუპულს (ლექსი)—ერიხ მიუზამ, სცოცხლობს მაგალითი (ლექსი)—ერიხ მიუზამ, ვინ იყო ის? (მოთხრობა)—მ. ზ—ძე, ჩვენი კინო-მრეწველობა („სამი სიცოცხლე“)—შ. ბ., ჩვენი კინო-მრეწველობის ნაკლი—დ. დ., კინო-ქრონიკა, თეატრი, მუსიკა, სპორტი, ფეხბურთი, ხელოვნების ქრონიკა, მეცნიერება და ტეხნიკა.

ორშაბათს, ა. წ. 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის ალმასკომის შენობაში

მოწვეულია შემდეგი სექციების

მორიგი სხდომა

1) კომუნალური სექციის (ალმასკომის დარბაზში)
დღის წესრიგი: 1) აგრო-დახმარება თბილისის და მის მაზრაში.
2) მიმდინარე საკითხები.
2) ჯანმრთელობის სექციის (ოთახი № 5).
დღის წესრიგი: 1) განყოფილების მუშაობის გეგმა.
2) მიმდინარე საკითხები.
3) ზაკესკომის სექციის (ზაკესკომის კანცელარია).
დღის წესრიგი: 1) მოხსენება საკუზაოთა ნაწილის მუშაობის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ნის. 368. 2—1   პრეზიდიუმი.

ა.-კ. პროფსაბჭოს პლენუმი

საქართველოს პროფკავშირთა შენობის მცირე დარბაზში 11 დეკემბერს საღამოს 5 საათზე გაიხსნა ა|კ პროფსაბჭოს პლენუმი.

მოხსენება ა.-კ. პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ

(მომხსენებელი ამხ. სეიკოვი)

პროფმოძრაობა ა|კავკასიაში თანდათან იზრდება. 1924 წლის 1 იანვრისათვის ა|კავკასიის პროფსაბჭო აერთიანებდა—230 ათასს წევრს, 1 ივნისს—250 ათასს, ხოლო ა|წ. 1 ოქტომბერს—264 ათასს. რესპუბლიკების მიხედვით პროფკავშირთა წევრები ასე ნაწილდებიან: საქართველოს პროფკავშირებში გაერთიანებულია—110 ათასი წევრი, აზერბეიჯანში — 109 ათასი წევრი, სომხეთის პროფკავშირები აერთიანებენ 24.180 წევრს.

ეროვნულ შემადგენლობის მხრივ დიდი სიჭრელე ემჩნევა საქართველოს და აზერბეიჯანის კავშირებს, ერთფეროვანია სომხეთის კავშირების შემადგენლობა; სომხეთის კავშირებში სომხები შეადგენენ 92,3 პროცენტს. ამ უკანასკნელ ხანებში საქ. და აზერბეიჯანის პროფკავშირებში შემჩნეულია ძირითად ეროვნებათა (ქართველები და თათრების) ზრდა.

ა.-კ. პროფკავშირები თავის მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კავშირების თვითმოქმედების გაძლიერებას და აბამდა კავშირებს საზოგადოებრივ მუშაობაში (საჰაერო ფლოტის მეგობართა, რევ. მებრ. დამხ. საზოგადოებებში და სხვა). ა.-კ. კავშირების ერთ-ერთ საერთო ნაკლად ითვლება უპარტიო მუშაკთა რიცხვის სიმცირე პროფორგანოებში და ნაკლები მუშაობა მოჯამაგირეთა შორის.

აღკვეთილი არ არის აგრეთვე ხელფასის სიჭრელე ერთი და იმავე ხასიათის წარმოებებში. მომავალში პროფსაბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს ერთი და იმავე წარმოებაში ერთგვარ კვალიფიკაციის მუშების ხელფასის გათანაბრებას.

ა|კავკასიის პროფსაბჭომ მოახდინა პროფმოძრაობის გამოკვლევა საქართველოს, სომხეთს და აზერბეიჯანში. როგორც გამოირკვა პროფორგანოების მიერ ნაკლები ყურადღება ექცეოდა ეკონომიურ საკითხებს სომხეთსა და საქართველოში, უფრო მეტად კი აზერბეიჯანის პროფკავშირები ეწეოდენ ეკონომიურ მუშაობას, საწარმოო თათბირები უფრო მეტად მოწესრიგებულია საქართველოს და აზერბეიჯანში ვიდრე სომხეთში, სადაც საწარმოო თათბირების ორგანიზაციას მხოლოდ სომხეთის პროფსაბჭოს ოქტომბრის პლენუმზე ჩაეყარა საფუძველი.

ა|კ. პროფმოძრაობის მთლიანობას ხელს უშლის უმთავრესად ერთი მთლიანი ეკონომიკის უქონლობა ა|კ. მასშტაბით და ეროვნული თავისებურებანი. ა|კ. პროფსაბჭომ მიზნად უნდა დაისახოს გამონახოს გზები პროფმოძრაობის გასაერთიანებლად ბოლშევიკურ-დემოკრატიულ საფუძვლებზე, და ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეს რესპუბლიკების ეროვნულ თავისებურებათ.

კამათის შემდეგ პლენუმი იწონებს ა|კავკასიის პროფსაბჭოს მუშაობას და ირჩევს კომისიას რეზოლუციის გამოსამუშავებლად.

მეორე დღე, დილის სხდომა

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. იაკუბოვი)

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატმა ამ ერთი წლის განმავლობაში შეავსო ის დანაკლისი, რომელიც ქონდა ჩვენს შრომის კანონმდებლობას. კომისარიატის მომავალი ამოცანაა უფრო დაწვრილებით და ყოველმხრივ დაამუშავოს ეს კანონმდებლობა. საანგარიშო პერიოდში გაძლიერდა ორგანიზაციული ურთიერთობა რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან წერილობითი ცნობების მიწოდებით და გამოცდილების ერთი მეორისათვის გაზიარებით. ა.-კ. შრ. სახ. კომის. კოლლეგიაში შეყვანილ იქნენ რესპუბლიკების სახ. შრომის სახკომთა წარმომადგენელნი.

ამავე პერიოდში მოხდა რესპუბლიკების სახ.კომთა გამოკვლევა, რის შედეგად დაგროვდა დიდძალი მასალები შრომის ორგანოების მუშაობის შესახებ.

განვლილ პერიოდში ყურადღება ექცეოდა შრომის დაცვას,—განსაკუთრებით მაინც წარმოებებში და უბედურ შემთხვევებთან ბრძოლას.

მოზარდთა და ქალთა შრომის შემცირების გამო, გადაწყდა შემცირებულ იქნეს იმ პროფესიათა რიცხვი, სადაც აკრძალულია ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენება.

შრომის ხელფასის თავის დროზე გასტუმრება — ჯერ არის სავსებით მოგვარებული, არც დამზღვევი გადასახადი თავის დროზე და უკლებლად შეტანა არის მოწესრიგებული. რასაც მომავალი მუშაობის დროს მიექცევა უფრო მეტი ყურადღება.

საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად რესპუბლიკებში მოეწყო მუშათა საბინაო მშენებლობის ხელის შემწყობი კომიტეტები. განზრახვა გვაქვს კომიტეტი მოვაწყოთ ა.-კ. მასშტაბითაც. დასასრულ, მომხსენებელი მოუწოდებს ამხანაგებს ერთსულოვანი მუშაობისაკენ ყველა ღონისძიებათა წარმატებით ჩასატარებლად.

საბჭოთა მუშაკების ყრილობა

მეორე დღე, საღამოს სხდომა

თბილისის მუშკოოპის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ანინი)

მომხსენებელი შეეხო მუშკოოპის მიერ წარმოებულ მუშაობის მიღწევებს და ნაკლოვანებებს. მომხსენებელმა აღნიშნა სამი მთავარი ნაკლი, რომელთა გამოსწორება მუშკოოპმა რამოდენიმედ შესძლო.

1. მუშკოოპმა მთლიანად ვერ ჩაითრია მუშები საკოოპერაციო მუშაობაში. 1921 წლის დამლევს მუშკოოპში ითვლებოდა წევრად 12 ათასი მუშა, ეხლა კი 20 ათასი ირიცხება. დანარჩენი მუშები ჯერ კიდევ კერძო ვაჭრების ხელში რჩებიან.

2. ზედმეტი ხარჯები, რომელთა რაოდენობა 1921 წელში იყო 20 პროცენტი, ეხლა დაყვანილია 12 პროცენტამდე.

3. ნისიათ გაცემის საქმე. გასულ წელში მუშკოოპმა გასცა ნისიათ საქონელი 5 თვის ვადით, მაგრამ იძულებული იყო შემდეგში შეემცირებინა სესხის გასტუმრების ვადა. მუშკოოპმა გახსნა დახურული საპურო პუნქტები, რამაც საგრძნობლად შემოკრიბა მუშები კოოპერაციის ირგვლივ. დიდი ნაბიჯი გადავდგით ჩვენ აგრეთვე პურის ბაზრის დაპყრობის საქმეში. 60 პროცენტი პურის ვაჭრობისა თბილისში ჩვენს ხელშია, 20 პროცენტი „ზაკპო“-სა და 20 პროც. ჯერ კიდევ კერძო ვაჭრების ხელში.

კავშირის მომავალი ამოცანები.

ამხ. ანინის მოხსენების შემდეგ გაირჩა პროფკავშირის მომავალ მუშაობის ამოცანები სატარიფო-ეკონომიურ მუშაობის დარგში. თეზისების მუხლობრივმა გარჩევამ გამოიწვია კამათი, რის შემდეგ თეზისები მიღებულ იქნა ზოგიერთი შესწორებებით.

საპურო სამრეწველო სკოლა.

ამხ. მინასმა გააცნო ყრილობას საპურო-სამრეწველო სკოლის დაარსება და მისი მნიშვნელობა. მან აღნიშნა, რომ მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებისა, კავშირის ცენტრ. გამგეობამ შესძლო მოეწყო საპურო-სამრეწველო სკოლა, აქ მიიღებიან სოფლელი გლეხისა და ქალაქის მუშების შვილები.

დელეგატები ტაშით ხვდებიან ამხ. მინასის განცხადებას.

ზანი.

მშრომელთა ჯალათების გასამართლება

ლ. მახარაძის, ფ. კედიას და სხვების საქმე

10 დეკემბრის სხდომა

მაზრის შორეულ თუ ახლო სოფლებიდან სასამართლოს სხდომის დარბაზს აუარებელი გლეხობა მოაწყდა.

დამცველმა ლვამიჩავამ ხელახლად აღძრა შუამდგომლობა, რომ სასამართლომ გამოიწვიოს გამოუცხადებელი მოწმენი, რომელთა ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის მსვლელობისთვის.

სასამართლო აკმაყოფილებს დამცველის შუამდგომლობას.

ხელმეორედ არის გამოწვეული სხვადასხვა ქალაქებიდან—**თენგიზ ჟღენტი, შამშე ლეჟავა, აკაკი ქავთარაძე, ივანე გომართელი, მიხეილ მღვდელიევი და დავით კვირკველია.**

გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

მოწმეები: სერაფიონ სამხარაძე და სამხარაძე ვლადიმერ აღწერენ თავიანთ ოჯახების აწიოკებას.

მახარაძე განმარტავს, რომ მასზედ უფრო მეტი სისასტიკე ჩაიდინეს ყოფილმა რაზმელებმა პლატონ ჟღენტმა, კოლია ნემსაძემ და სხვებმა, რომლებიც რეაქციას მიეკედლენ.

ნიკოლეიშვილი კირილე. (პოლიტკატორღელი) ამბობს: როდესაც მახარაძეს ესროლეს ქვითურაში, იმ დღეებში გაჩხრიკეს ჩემი ბინა, მე გავასწარი, ნახეს არალეგალური პროფკავშირის საბუთები.

ამ საქმის გამო იმ ეზოში დაიჭირეს 17 კაცი. მათ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონიათ ორგანიზაციებთან. მახარაძის და კედიას შედგენილ ოქმის მიხედვით ყველას კატორღა გადაუწყვიტეს.

მე დამიჭირეს ორი წლის შემდეგ და ამ ოქმის მიხედვით კატორღა გადამიწყვიტეს.

დაიჭირეს ერთი უბრალო გლეხი სამხარაძე. სცემეს, აწამეს. ჩააცივდენ ტერორისტი ხარო, სამხარაძემ არ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა ტერორისტი და უთხრა: „რას მერჩით ბატონო; მე ერთი საწყალი ტერორისტი ვარო“. ამის გულისთვის მას კატორღა გადაუწყვიტეს. ციხეში სამხარაძეს „საწყალ ტერორისტს“ ვეძახდით.

უზომოდ სცემეს რევ. სანდრო ბოჭორიშვილს. ის ცემით გარდაიცვალა. აწამეს რევ. გორდეზიანი, რომელმაც წამებას ველარ გაუძლო და გასცა რევ. სამხედრო ორგანიზაცია, სხვათაშორის თენგიზ ჟღენტიც.

მახარაძე აცხადებს, რომ ნიკოლეიშვილის შესახებ მას არაფერი ოქმი არ შეუდგენია.

ივლიტა ლეჟავა (აფრასიონ მერკვილაძის და), **მერკვილაძე ვანკა, მერკვილაძე არკადი და ქებულაძე ბიქტორი** აღწერენ მათი ოჯახების აწიოკებას.

ალექსანდრე ჩხეტია (პოლიტკატორღელი, მემარცხენე სოციალ-ფედერალისტი) სხვათა შორის აცხადებს, რომ კედიამ გადაარჩინა წალენჯიხის რაიონი (ზუგდიდის მაზრა) აწიოკებას.

ბრალმდებელი სანებლიძე: რა ზომები მიიღო კედიამ, რომ ჯარები არ შესულიყო, ან თუ შეაჩერა მიმავალი ჯარი.

პასუხი: ჯარები წალენჯიხისკენ არ წასულან.

კედია (განმარტავს): ჯარები იმიტომ არ შემოვიდა წალენჯიხაში, რომ მე ყოველ დღე მოხსენებებს ვაგზავნიდი: „წალენჯიხაში სიწყნარეა.“ მაგრამ იყო შემთხვევა, ჩემს რაიონში სოფ. მუხურაში მოკლეს მამასახლისი, მოვიდა ქვეითა ჯარის მცირე ნაწილი, მაგრამ არაფერი დაუშავებია და მეორე დღეს გაბრუნდა უკან.

სხდომის დროს სასამართლოს დარბაზთან დროშებით და სამხედრო მუსიკით მოვიდენ ახლო მახლო სოფლების გლეხები და მუშები, (ეს მესამე დელეგაციაა). მოითხოვეს ბრალდებულის სასტიკათ დასჯა.

სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ყაჭარავამ უპასუხა მუშებს, რომ სასამართლო თავის განაჩენს დაამყარებს სამართლიანობაზე და მუშურ-გლეხურ ხელისუფლების კანონების თანახმათ მოიქცევა.

მოწმეების დაკითხვა გათავდა. დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა მახარაძის ჩვენების შემდეგ სხდომა იხურება.

ხანძარი სამტრედიაში

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ცეცხლის მქრობელი რაზმების ინსპექტორს—ამხ. ბერიძეს—სამტრედიის ხანძარის შესახებ. ამხ. ბერიძემ განაცხადა შემდეგი: ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის, თუ როგორ გაჩნდა ხანძარი სამტრედიაში, ცხოლოდ 10 დეკემბერს შუადღის 12 საათიდან ცეცხლი მძვინვარებდა 10—12 საათის განმავლობაში. რადგან შენობების უმეტესი ნაწილი ხისაა, ამიტომ ცეცხლი ადვილათ გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე და ზარალიც დიდი მოიტანა. მართალია ცეცხლის ჩასაქრობათ პირველი ამბის გაგონებაზე სამტრედიაში გაეშურენ რკინის გზის ცეცხლის მქრობელი რაზმები ქუთაისიდან, ფოთიდან და თბილისიდანაც, მაგრამ ყველა ამათ მოსვლამდის ადგილობრივმა ძალებმა — რკინის გზის ცეცხლისმქრობელმა რაზმმა და სამტრედიის მუშებმა და მოსამსახურეებმა უკვე სავსებით ჩააქრეს ცეცხლი და მთელი ქალაქი გადაარჩინეს სრულ განადგურებას.

ხანძარის მიზეზების გამოსარკვევათ დაარსდა კომისია ქუთაისის ალმასკომის თავმჯდომარის ამხ. ლორთქიფანიძის მეთაურობით. კომისიის აზრით ხანძარი უნდა გაჩენილიყო ახლო მდებარე სამრეცხელოდან, სადაც იმ დროს ცეცხლი ენთო. ახლო-მახლო ფარდულებში კი ბევრი იყო ჩალა და ალბათ სამრეცხელოს მილიდან ამოცვენილი ნაპერწკლები ჩავარდენ იქ და გაალვივეს ცეცხლი.

ცეცხლის გავრცელებას ძლიერ უწყობდა ხელს ძლიერი ქარი, რომელსაც 2-3 ვერსზე მიჰქონდა ანთებული ყავრები.

ყველაზე მეტათ დაზარალდა წარმოკავშირი: სრულიად დაიწვა პარკის საწყობები, სადაც ინახებოდა 3.400 ფუთი გამშრალი პარკი. აქედან გადარჩა მხოლოთ 700 ფ. და ისიც ნახევარი დასვრულებულია.

დაიწვა აგრეთვე ერთი ფარდული, სადაც დაწყობილი იყო 400 კონა ჩალა, 000 დაწნული კალათი.

გადაიწვა 11 კომლი, რომელთაც გაუნადგურდათ 20 შენობა. ისინი შეელოდნენ პირველათ გაჩენილ ცეცხლის ჩაქრობაში და თავიანთ სახლკარის გადარჩენას ველარ მიასწრეს.

კომისიის გამოანგარიშებით—კერძო პირთა ზარალი უდრის 60,000 მანეთს. „წარმოკავშირის“ ზარალის გამორკვევა ჯერ არ დამთავრებულა.

დაზარალებული არიან შემდეგი პირები: ანჯაფარიძე, ლიპარტიანი, პეიშვილი, მანჯგალაძე, ქანდარია, ნიკოლაიშვილი, ბანძღავა, გრიგოლია, მექურია ვ., მექურია იონა., მექურია ილარიონ.

წითელ ჯარში

იშვიათი ზეიმი

ათ დეკემბერს შესრულდა ორი წელი პირველ ქართულ მსროლელ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის დაარსებია დღიდან.

დიდის ზეიმით გადაიხადა ასეულმა თავის დღეობა.

წინა დღითვე მოირთო და გალამაზდა ყაზარმა, ეზო, სამკითხველო, „ლენინის კუთხე“ — ბელადების სურათებით, გირლიანდებით, ამ დღის შესაფერისი პლაკატ-ლოზუნგებით.

ამუშავდენ ყველა როგორც მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობა, ისე წითელარმიელნი.

გამოვიდა საზეიმო ნომერი (28) ჩვენი კედლის გაზეთ „წითელი დროშისა“.

შუადღის 12 საათზე გამწკრივდა ასეული ეზოში—გამოიტანეს დროშა, ახმაურდა მუსიკა, დაიწყო სტუმრების მოსვლა—შეფი („ჩ მო“), კომუნისტურ უნივერსიტეტის სტუდენტობა, თბილისის გარნიზონში მდგომ ყველა სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები და სხვა.

სიტყვით მიმართა ასეულს კავშირის უფროსმა—ამხ. ებანოიძემ.

მისალოცი სიტყვებით გამოვიდენ შეფი—ამხ. ვაშაძე, 1-ლ დივიზიის უფროსი—ამხ. თუხარელი, სამხედრო კომისარი—ამ. ჟღენტი, არმიის კავშირის ინსპექტორი—ამხ. გულიანი და თბილისში მდგომ ქართულ ნაწილების წარმომადგენლები.

ყველა ორატორის სიტყვის დათავების შემდეგ გაისმოდა აღფრთოვანებული „ვაშა“ და ინტერნაციონალი...

ასეულმა მიიღო მრავალი მილოცვის დეპეშები—მათ შორის სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოდან, რომელსაც ხელს აწერენ ამხ. პუგაჩოვი, ორჯონიკიძე, ელიავა, მიასნიკოვი და რაცნეკი. მეთაურთა სკოლიდან გადაღებულ იქნა საერთო სურათი სტუმრებთან ერთად. შემდეგ ყველანი მიწვეულ იქნენ სადილზე.

ზეიმი გაგრძელდა საღამოს ოთხ საათამდის.

ბედუინი.

მეცნიერება და ტეხნიკა

საჰაერო სადგურები ზღვაში.

ბურჟუაზიული სახელმწიფოები აძლიერებენ თავის საზღვაო და საჰაერო ფლოტებს, ანვითარებენ და აუმჯობესებენ საომარ ტეხნიკას. სამხედრო საზღვაო ფლოტის დაცვაში და მოწინააღმდეგის საზღვაო ძალების დაზვერვაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჰაეროპლანებს. მაგრამ ჰაეროპლანების მოთავსება ჩვეულებრივ სამხედრო გემებზე ძნელია, ამიტომ შეიმუშავეს საზღვაო საჰაერო სადგურების ახალი ტიპი.



ეს არის გემის სადგური. გემის ერთ კუთხეში მოთავსებულია 5 სართულიანი ანძა, რომელშიც მოწყობილია ყველაფერი, რაც გემს ესაჭიროება წონასწორობის დასაცავად გემის მეორე მხარე შესაფერად დატვირთულია.

კვამლი და ორთქლი გამოდის მილებიდან, რომლებიც გემის გვერდით არის მოთავსებული,

ეს გემი-ჰაეროდრომი, რომელიც ცნობილია „ჰერმესის“ სახელწოდებით შედის ინგლისის საზღ. დრო ფლოტის შემადგენლობაში და წარმოადგენს ასეთი კონსტრუქციის ერთ-ერთ საუკეთესო გემს.

„ნაბიჯი“ მშვიდობიანობისაკენ.

ინგლისის იმპერიალიზმი, რომელიც დაულალავად „შრომობს“ მსოფლიოში თავისი ბატონობის გასამტკიცებლად საზღვაო ფლოტთან ერთად საჰაერო ფლოტსაც აძლიერებს.



ეს ჰაეროპლანი არის ერთი იმ უზარმაზარი ჰაეროპლანების რიცხვიდან, რომლებსაც აშენებენ ინგლისის საავიაციო ქარხნებში. მას შეუძლია ოცი საათის განმავლობაში მიწაზე დაუშვებლად ფრენა და ოცი კაცის (რაზმის) წაყვანა. ჰაეროპლანს მიაქვს ასი ფუთი ბომბა და შეიარაღებულია ორი ზარბაზნით.

მუშათა ცხოვრება

ის, რაც არ უნდა ხდებოდეს

(პროკურატურის საყურადღებოდ).

1921 წლის დამლევს მოხდა საალმშენებლო მასალათა ქარხნების ნაციონალიზაცია. ზოგიერთი ამ ქარხნებიდან თავის უშუალო გამგებლობაში აიღო და აამუშავა ს. მ. უ. ს. საალმშენებლო მასალათა განყოფილებამ. ზოგიერთები კი (წვრილი ქარხნები) იჯარით აიღეს ყოფილმა პატრონებმა და თავისი პროდუქციის ნაწილს აძლევენ საალმ.შ. მასალათა ქარხნების განყოფილებას (საიჯარო ქირის სახით). ერთი აგურის ქარხანა რომელიც ძმ. ონანოვებს (მსხვილ მოიჯარადრეებს) ჰქონდათ ლრმ. ღელეში, 1924 წ. ზაფხულამდი გაჩერებული იყო. ძმ. ონანოვებმა არ ისურვეს სხვა თავის „ამხანაგების“ მაგალითისათვის მიბაძვა. მიმდინარე წლის ზაფხულში მოქ. ონანოვმა მოახერხა თავის ყოფ. ქარხანაში შეძრომა და ზაფხულის განმავლობაში გამოწვა 500,000-დი ცალი აგური. **დღემდი მასთან დადებული არ არის საიჯარო ხელშეკრულება,** მოქ. ონანოვი ყოველმხრივ გაურბის ასეთი ხელშეკრულების დადებას, რადგან თავ ისედაც არხეინად გრძნობს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მან საალმშენებლო მასალათა განყოფილებიდან მუშების ხელფასის გასასტუმრებლად მიიღო 820 მანეთი იმ პირობით, რომ ამ ფულს განყოფილებას გადაუხდიდა ტრამვაის დირექცია, რომელსაც მოქ. ონანოვი აგურს აწვდის.

განყოფილებიდან ფულის მიღების შემდეგ მოქ. ონანოვი სთხოვს ტრამვაის დირექციას 800 მანეთი არ დაუბრუნოს განყოფილებას, რადგან მან უკანასკნელს მააწოდა 50,000 ცალი აგური „და მას კი არ მართებს განყოფილებას, არამედ განყოფილებას მართებს მისი“.

ფაქტიურად კი საქმე შემდეგშია: უკანასკნელ ხანებში საალმ. მასალათა განყოფილების წარმომადგენლებთან ხელშეკრულების დადების ნიადაგზე მოსული უთანხმოებებით შეშინებულმა ონანოვმა თავი მოიკატუნა და ვითომ შეუდგა პირობების შესრულებას ხელშეკრულების დაუდებლათ. მან საიჯარო გადასახადის ანგარიშში განყოფილებას გადასცა 50,000 ცალი აგური (წარდგენილი ანგარიშით კი უნდა მიეცა 67,000 ცალი).

ამის შემდეგ ჩვენ ვეკითხებით საალმშენებლო მასალათა განყოფილებას:

დასაშვებია თუ არა კერძო მეპატრონისათვის „[illegible]“ სახელმწიფო ფულებით დახმარების გაწევა?

დღემდი რათ არ არის დადებული საიჯარო ხელშეკრულება მოქ. ონანოვთან?

ინფ. გარეშე.

უნდა მოისპოს ეგ უწესობა

(საუბნო პროფკავშირის და ადგილკომის საყურადღებოდ)

სექტემბრის ბოლო რიცხვებში მივლინებაში იყვნენ გაგზავნილი ოთხი მექვაბენი, რომელნიც პირველ დეკემბერს გამოცხადდნენ სამუშაოდ საამქროში. მათ იქაური ხელშეკრულების ძალით ერგოთ თითოს 400—550 მანეთამდის. ამ ფულის მიღება მოხდა 5 დეკემბერს. ამავე დღეს ამ ოთხმა მუშამ იკადრეს დაპატიჟება ბრიგადირების, კანტორის ადმინისტრაციის და მოანგარიშე ლემენცოკისა, და გადიხადეს „მალარიჩი“. ეს ვახშამი დამჯდარა 60 მანეთამდის. ასე იგი თითო მუშამ დახარჯა 15 მან. ერთმა მათგანმა მივლინებაში წასვლამდის, ორი კვირის წინ, ცოლი დამარხა; ძალიან ღარიბად სცხოვრობს მრავალ შვილიანია; ნესტიანმა სარდაფმა გამოასალმა მისი ცოლი წუთისოფელს; დასამარხი ფული საამქროში ჰოუგროვეს მუშებმა. აი ასეთი კაცის ხარჯი და ქეიფი, ჩემის აზრით, დიდი სირცხვილია, თუმცა წინათ 1922—23 წ. „სავალდებულო“ იყო აქ მალარიჩები; აგრეთვე შემრცხვენელია და დამამცირებელი მუშების პრესტიჟისათვის ასეთი „მალარიჩები“.

ადგილკომო, შენ გევალება ასეთი ძველი ჩვეულებები ძირიან-ფესვიანად ამოფხვრა.

მუშა მო—№ 15.

მოგვაშორე მეძავი ქალები

ქუთაისის სადგურში ხშირად შეხვდებით ქუჩის მოხეტიალე ქალებს, რომლებიც სწამლავენ ახალგაზდობას. ამის შესახებ ბევრჯელ დაწერილა პრესაში, მაგრამ წერილი წერილად დარჩენილა და ყურადღება კი არავის არ მიუქცევია. ქუჩის ქალებს ერთად ერთი თავშესაფარ ადგილად აურჩევია სადგური, სადაც მეტი ახალგაზრდობა ეტანება და სადაც იკრიბება, მისი დამქაშები. კმარა სიტყვები! საქმე უნდა გაკეთდეს! მიიღეთ ზომები!

ინფ. ეკალ-ვარდი.

ყველა ესენი სასწრაფოდ გამოასწორეთ

(რკინისგზის სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ).

— **ტყიბულის ხაზზე ყოველდღე დადის საბარგო მატარებელი** [illegible] პლატფორმებით, რომელთაც არ აქვთ, და ზოგს თუ აქვს, მიმტვრეულია—ან ფიცრებ გაქურდული მემუხრუჭის საჯდომი ბუდკები. ზამთარი უკვე დადგა და ამ ხაზზე აუცილებელი საჭიროება [illegible] შეკეთებული იქნას ეს პატარა ბუდკები, რათა საშუალება მიეცეთ მემუხრუჭეებს თავი დაალწიონ გაციებას.

— **1 უბნის საკავშირო დარგის მოსამსახურეებს** დღემდის ვერ აუღიათ სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის ღამის მორიგეობის ფულები და ზედმეტი ნამუშევრის ჯილდო სექტემბრისა. თუმცა ეს დიდი ფული არაა, რაღაც 2 და 3 მანეთი, მაგრამ საჭიროა მაინც ეს გასამრჯელო თავის დროზე იწერებოდეს უბნის [illegible] მიერ და თავის დროზე ეძლეოდეს მუშა-მოსამსახურეებს.

მუშკორი ლერწამი.

ფაბრიკა-ქარხნებში

ცეკავშირის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა

— **წარმოება.** ნოემბერში ფაბრიკამ დაამზადა **1,032 მეტრი და 15 სანტიმეტრი წმინდა აბრეშუმის ქსოვილები** სხვადასხვა ხარისხისა.

ახლად დადგმულ საუთოებელ მანქანებზე გაუთოვდა **863 მეტრი** და 17 სანტიმეტრი დამზადებულ ფაბრიკატისა.

საუთოებელ მანქანებს ამ ჟამად ახურებენ გაცხელებულ რკინების საშუალებით, რაც არ არის გამოსადეგი მალე გაცივების გამო. საჭიროა მათი გახურება სწარმოებდეს ორთქლის საშუალებით.

ჟოკარდის მანქანები, რომელიც ფაბრიკას აქვს შვიდი, საექსპლოატაციოდ გამოდგება მხოლოდ 5; აქედან მომავალ წელს განზრახულია ოთხის გაშვება.

ნარდ სამუშაოზე გადასვლამ, რომელიც წარსულ თვეს ცდის პროცესში იყო, დადებითი შედეგები მოიტანა, და აწი ამ წესით იწარმოებს მუშაობა ფაბრიკაში.

შემფას.-საკონფლ. კომისიის სხდომაზე, რომელიც მოხდა 6 ამა თვეს, განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები და სხვათა შორის დადგენილ იქნა: მოიწვიოს ერთი მუშა ელსადგურისათვის, რომელიც მას ესაჭიროება გაფართოების შემდეგ.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის თხოვნა კი მისთვის გამოცდილ ფეიქარის გაგზავნის შესახებ ვერ დააკმაყოფილა, ვინაიდან თვით წარმოება ფაბრიკისა თანდათან ფართოვდება და მისთვის გამოცდილი მუშა ხელი ძვირფასია.

— **ექსკურსიები.** კულტურულ მიზნით დაწყებული ივნისიდან, ვიდრე მიმდინარე თვემდე, ფაბრიკის წარმოება დაათვალიერა **2000-ზე მეტმა** კაცმა ექსკურსიების სახით; სხვათა შორის ექსკურსანტები ჩამოვიდენ მოსკოვიდანაც.

ამ მოკლე ხანში განზრახულია მოწვევა მორიგი საწარმოო თათბირისა, რომელზედაც გაირჩევა მთელი რიგი საგულისხმო საკითხებისა წარმოების შესახებ.

„ოქტომბრის რევ.“ სახელობის სპილენძის სატკეცი ქარხანა.

მუშების მდგომარეობა ამჟამად ცუდია, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ ვერ მიუღიათ ნოემბრის თვის მეორე ნახევრის ჯამაგირი, რის გამო ისინი მეტის-მეტ მატერიალურ კრიზისს განიცდიან.

ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც არის, რომ [illegible] ქარხანამ სალითონო განყოფილებისათვის დაამზადა **140 „მაჩტი“** ზაჰესისათვის, რომელიც მას უნდა წაეღო და ფული მიეცა განყოფილებისათვის. მან კი მიიღო მხოლოდ 38 ცალი, დანარჩენის მიღებას კი აჭიანურებს და ფულს არ იძლევა. საჭიროა დამზადებულ მასალის დაუყოვნებლივ მიღება და ფულის განყოფილების სალაროში შეტანა.

ქვა-ნახშირზე გადასვლა. იმისათვის, რომ მეტი გასაღებულიყო ტყიბულის ქვა-ნახშირი, საწარმოო თათბირმა გადასწყვიტა სადნობ ღუმელების გახურება ნახშირის საშუალებით, მაგრამ ღუმელების ამისათვის მოუწყობლობამ ამის საშუალება არ მისცა და ისევ დაუბრუნდენ მაზუთს.

ქვა-ნახშირით გახურებაზე გადასვლის ცდამ,—რომელმაც დადებითი შედეგები არ მოიტანა,—წარმოება დასცა. ეხლა კი იგი ისევ გაზრდის პროცესშია.

სპეც ტანისამოსი და შეშა.

მუშებს ჯერ კიდევ ვერ მიუღიათ კუთვნილი სპეც. ტანისამოსი და სალითონო განყოფილების მიერ დაპირებული შეშა. ამ ჟამად მუშებს არ აქვთ საშუალება ბაზარზე შეშის ყიდვისა. საჭიროა, განყოფილებამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

ინფ. ტოპკა.

სხვადასხვა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **ბოროტმოქმედების აღმოჩენა.** „ზაკტპო“-მ აღმოაჩინა ზოგიერთი ბოროტმოქმედებანი შაქრის მიღების გამო. ბოროტმოქმედებს ჩამოერთვათ წიგნაკები და მსჯავრის დასადებად გადაეცათ საუბნო პროფკავშირებს.

— **ათი ბილეთი.** თბილისის საქ. სადგურის ადგილკომმა მოსთხოვა ადმინისტრაციას ათი სასურსათო ბილეთის გაცემა მუშებისათვის.

— **კოოპერატიული კურსები.** 7 დეკემბერს „ზაკტპო“-მ გახსნა საკოოპერაციო კურსები, სადაც მეცადინეობა სწარმოებს კვირაობით დილის 10 საათიდან.

— **სანგანათლების კუთხეები.** ა|კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველოს განზრახვა აქვს მოაწყოს 20 რკ. გზ. სკოლებთან სანგანათლების კუთხეები.

— **კამპანები კლუბებში ჩასაწერად.** თბ. საქ. სადგურის ადგილკომის კულტკომისია შეუდგა კლუბების წევრებად ჩაწერის კამპანიების ჩატარებას.

— **სავაჭრო კარავი.** „ზაკტპო“-ს გამგეობამ დაადგინა გახსნას ფოილოს ხიდზე მომუშავეთათვის პურის სავაჭრო კარავი.

— **ბავშვთა მკურნალობა.** ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთ. სამმართველო შეუდგა ხაშურის, განჯისა და ლენინაკანის რკ. გზ. სკოლებში ბავშვების მკურნალობას მუცლის ჭიებისაგან.

ინფ. ა—ძე.

რკინის გზებზე

— **რკინისგზის მთავარ სახელოსნოს** ადგილკომმა შუამდგომლობა აღძრა საუბნო პროფკავშირის წინაშე, რათა მიღებული იქნეს ზომები—სახელოსნოს უბინაო მუშებს ლენინის და დიდუბის რაიონში საცხოვრებელ ბინებათ მიეცეთ დარაბები.

— **საავადმყოფოს შეკეთება.** რკინისგზის საავადმყოფოს კაპიტალური შესაკეთებლათ გადადებული იქნა სათანადო თანხა.

— **ექიმის პასუხისგებაში მიცემა.** თბ. რკინის გზის საავადმყოფოს ექიმი მაჰავარიანი, 10 ავადმყოფისათვის სულემის სითხის მაგიერ ბენზინის შეზავებისათვის, მიცემული იქნა პასუხისგებაში. საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს პროკურორს.

— **თბ. რკინისგზის მედიკურ** თანამშრომელთა ადგილკომმა შუამდგომლობა აღძრა „ზაკტპოს“ წინაშე მედიკურ თანამშრომლებისათვის ტანთლეულობის ნისიათ მიცემის შესახებ.

— **თბილისის საუბნო რკინისგზელების** პროფკავშირთან არსებულ საბინაო კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ვაშაკიძე.

ქრონიკა

— **ადგილობრივ ჩაის კულტურის განვითარებისათვის.** საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო აჭარისტანისა და ოზურგეთის მაზრის ჩაის პლანტაციების პატრონებს, ადგილობრივ ჩაის კულტურის განვითარების მიზნით, უშუალოდ პლანტაციებზე დაამუშაონ ჩაი. მაგრამ ადგილობრივი ჩაის გადამუშავება უშუალოდ პლანტაციაზე დაშვებულია იმ პირობით, რომ მიღებული იქნება ზომები კონტრაბანდული ჩაის გავრცელების წინააღმდეგ.

— **მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.** საქ. მ|გ. ინსპექციასთან არსებულ სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულების პირად შემადგენლობის აღმრიცხავ-გადამსინჯავ ცენტრალურ კომისიამ დაამთავრა მუშაობა შემდეგ დაწესებულებებში: 1. წარმოკავშირი, 2. წითელი ჯვარი, და 3. ა|კ. ფინსახკომის რწმუნებულის სასამართლო.

— **მოსახლეობის კვების გამოკვლევა.** ოქტომბრის ბოლო რიცხვებში საქართველოს სტატისტიკის სამმართველოს მიერ ჩატარებული იქნა მოსახლეობის კვების გამოკვლევა ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათომში, ფოთში, სოხუმში და ყველა მაზრის ტიპიურ სოფლებში. სამმართველოს მიერ წინა წელში ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგები გამოქვეყნებულია სამართველოს მიერ ცალკე გამოცემაში, („საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის კვება“), სადაც გაშუქებულია მოსახლეობის კვება სოციალურ მდგომარეობის, ეროვნების და პროფესიის მიხედვით. ამჟამად სწარმოებს წლევანდელ გამოკვლევის მასალების დამუშავება.

— **მისალმება.** განათ. კომისარიატმა ქუთაისის სამაზრო მასწავლებელთა პირველი კონფერენციიდან მიიღო მისასალმებელი დეპეშა, სადაც კონფერენცია კომისარიატის სახით საბჭოთა ხელისუფლებას აღუთქვამს, რომ ქუთაისის მაზრის მასწავლებლობა მთელი ძალ-ღონით იმუშავებს განათლების ფრონტზე და ხალხის გათვითცნობიერების საქმეში.

— **ლეჩხუმის სათვისტომო.** ლეჩხუმის მაზრის მოქალაქეთა „სათვისტომოს“ დამაარსებელის საინიციატივო ბიურო ამით აცხადებს ლეჩხუმის მაზრის მკვიდრთ ქალაქ თბილისში მცხოვრებ საბჭოთა მოსამსახურეების, ხელოსნების და მოსწავლე ახალგაზრდების საყურადღებოდ, რომ კვირას, 14 დეკემბერს დილის 11 საათზე დანიშნულია ხსენებული სათვისტომოს საზოგადო კრება.

კრება შესდგება ქართულ მსროლელთა დივიზიის ცენტრალურ კლუბში (რუსთაველის ქ. № 10).

— **მატყლი ქუთაისისათვის.** საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკმა დაამზადა რამდენიმე ვაგონი თუშური თეთრი მატყლი, ქუთაისის განყოფილებისათვის მაზრის მცხოვრებთა შორის შეღავათიან ფასებში გასანაწილებლად.

— **ტელეფონის სადგურთან** შესდგა რაზმი, რომელიც თვეში ორჯერ მოახდენს ტელეფონის აპარატების ადეზინფექციო წმენდას.

— **თბ. პოლიტეხნიკუმის** პროლეტარულ სტუდენტობის სამეურნეო კომუნას დასამუშავებლად „ზაკტპომ“ გადასცა ორთაჭალაში მდებარე მანთაშევისეული მამული.

— **უმუშევართათვის.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა ახურვალე მონაწილეობა მიიღოს უმუშევართათვის სასოფლო-სამეურნეო კომუნების დაარსებაში.

— **სოც. დაზღვევის** სამმართველომ გადასწყვიტა შეიმუშაოს ერთეული მუშებისათვის დაზღვევის სამარკო სისტემის გეგმა.

— **საშუამავლო ბიუროში.** 10 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე თბ. საშუამავლო ბიუროში ჩაეწერა 1,431 უმუშევარი.

— **მუცლის მოშლის წინააღმდეგ.** ჯან. სახკომისარიატმა მუცლის მოშლის წინააღმდეგ შეიმუშავა დადგენილება, რომელიც შეტანილ იქნება სისხლის სამართლის კოდექსში, ცალკე მუხლათ.

უფასო წამალი. 1924—25 წლისათვის მაზრებში წამლეულობის უფასოდ დასარიგებლად გადადებულია 17 ათასი მანეთი.

— **ზომა-წონის** მთავარმა კომისიამ გადასწყვიტა შეიძინოს 7 ათასი ცალი გირა ას წილად სასწორისათვის.

— **ავჭალის წყალსადენის** მთავარ სადგურის მიდამოს კეთილ მოსაწყობად თბ. ალმასკომმა გადასდო 3,100 მან.

— **ტრამვაის ახალი ხაზი.** 1924—25 წ. დიდუბე-რიყეს შორის ტრამვაის ხაზის გასაყვანად ქ. ალმასკომმა გადასდო 23 ათასი მანეთი.

— **სოც. უზრუნველყოფის** კომისარიატის ადგილკომმა გამოყო კომისია მუშა-მოსამსახურეთა ქიმიის მეგობართა საზოგადოებაში წევრათ ჩაწერის საქმის საწარმოებლად და იგივე ქიმიის შემსწავლელ უჯრედის მოსაწყობად.

— **ქართული ენის კურსები** მოეწყო სოციალურ - უზრუნველყოფის კომისარიატთან.

— **ქ. ალმასკომის** პოლიტგანათლებამ ქალაქში გახსნა წერა-კითხვის უცოდინარობის 71 სალიკვიდაციო პუნქტი.

— **ტრამვაის სამმართველო** ჩეხოსლოვაკიიდან ახლო ხანში მიიღებს დაკვეთილ ტრამვაის ნაწილებს.

— **თბილისში დაიწყო** ზაჰესის მთავარ სადგურის ქვე-სადგურის აგება.

— **ექსკურსია.** მუშკოოპში მომუშავე ქალთა კოოპერატიული სექცია კვირას, 14 დეკემბერს აწყობს ექსკურსიას მუშკოოპის სარძეო ფერმაში.

სექციის წევრები ვალდებული არიან მოგროვდენ დილის 8 საათზე მუშკოოპში.

შემთხვევები.

— **ცეცხლი.** 11 დეკ. ღამით რკინისგზის მე-7 შრომის სკოლას (შერემეტიევის ქ. № 46) გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელმა რაზმმა.

— **გვამის პოვნა.** 11 დეკემბ. ინგლისის ქუჩის პირდაპირ მტკვრის ნაპირას იპოვეს ქრისტეფორე თუმანოვის გვამი. დახრჩობის მიზეზი გამოურკვეველია.

— **შეპყრობა.** 9 დეკემბერს შეიპყრეს ანდრია ყაზაშვილი, რომელსაც ბრალდება შინ. საქ სახ. კომისარიატიდან 48 გირ. ცინკის მილის მოპარვა.

— **ქურდი ქალი.** ამავე დღეს შეიპყრეს სეით ხანუმ მურთაზა კიზი, რომელსაც ბრალდება მოქ. ურეხელიძის ბინიდან 80 მ. ნივთების მოპარვა.

— **ტაშტების ქურდი.** 11 დეკ. მადათოვის ქ. № 7 სახლიდან მოიპარეს სამი ტაშტი, ქურდი ანჯაფარიძე შეიპყრეს.

— **საბნის ქურდი.** ამავე დღეს ტროცკის ქ № 8 გრიგოლ არაქელოვის ბინიდან მოიპარეს საბანი. ქურდი მუჩიაშვილი შეიპყრეს.

თეფშების ქურდი. 11 დეკ. არსენალის ქ. № 14 მოქ. ცინ. კოსტანიანის სამზარეულოდან მოიპარეს თეფშები. ეჭვით შეიპყრეს სოფიო თოხაძისა.

— **ქურდობა.** 10 დეკ. დესიმონოვის მოედანი № 6 ნალბანდიანის ბინიდან მოიპარეს 230 მ. ნივთები. ეჭვით დააპატიმრეს მოქ. ტრეჩკოვისა.

— 9 დეკ. ვლადიმირის ქუჩა № 29 გაქურდეს შალვა საადოვის ბინა, წაიღეს 70 მ. ნივთები.

10 დეკ. ანიევის ქ № 18 ანა მიხაილოვისას მოპარეს 30 მან. სარეცხი, ქურდი ბოლოტინა შეიპყრეს.

ამავე დღეს ანიევის ქ. № 7 გაქურდეს ნიკოლოზ დიმბოვსკის სამზარეულო.

ფიზიკური კულტურა

ფოთი—რუბენის სახელობის გუნდი.

დღეს, პარასკევს, 12 დეკემბერს, დღის 3 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ფეხბურთელთა შეჯიბრება—„ფოთი“ რუბენის სახელობის გუნდის წინააღმდეგ.

ფოთი—თბილისი.

კვირას, 14 დეკემბერს, დღის 1 ნახევარ საათზე იქვე ითამაშებენ შენაკრები ფოთი და შენაკრები თბილისი.

აღნიშნული მატჩები ფოთელ ფეხბურთელებთან დიდ ინტერესს წარმოადგენს როგორც ჩვენი სპორტსმენებისათვის, ისე საერთოდ საზოგადოებისათვისაც, რადგან თავის დროზე თბილისელებთან შეჯიბრების დროს მათ გამოამჟღავნეს თამაშის საკმაოდ მაღალი კლასი და ტეხნიკა.

ხარკოველების გამარჯვება.

საქ. შენაკრებ გუნდთან შეჯიბრების დამთავრების დღესვე, 10 დეკემბერს ღამით თბილისიდან გაემგზავრა ხარკოვის ფეხბურთელთა გუნდი.

კვირანახევარის განმავლობაში თბილისში მათ გამართეს ხუთი შეჯიბრება, რომელთაგან სამი მათ სასარგებლოთ გათავდა, ერთი თანასწორათ (ბათომთან—2:2). უკანასკნელ შეჯიბრებაში კი საქართველოს შენაკრებ გუნდთან ისინი დამარცხდნენ.

წერილები პროვინციიდან

სიღნაღის მაზრა 1924 წელში

მეურნეობის დარგი

ამ დარგს განაგებს აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება, რომელშიაც 1924 წლ. 2 თებერვლიდან შედის ორი ქვე-განყოფილება: კომუნალური და საადგილ-მამულო. კომუნალური ქვე-განყოფილება ტეხნიკურ ნაწილთან ერთად განაგებს ყველა კომუნალურ წარმოებებს მაზრაში და ქალაქში. მას აქვს ელექტრონის სადგური, წყალსადენი, აბანო, სასაკლაო, ნაციონალიზაციით ჩამორთმეული შენობები, სავაჭრო მაღაზია და სხვ.

გასულ წელში კომუნალურ ქვე-განყოფილების მუშაობა ფრიად ნაყოფიერი იყო. მან გააფართოვა მაზრაში ტელეფონების ქსელი. ამ ჟამად უკვე მუშაობს გურჯაანის, ლაგოდეხის, წითელ-წყაროს, მაჩხაანის, ციდილის, აფენის და ველისციხის ქსელი. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ყველა 31 თემი მაზრისა შეერთებული იქნება სიღნაღთან ტელეფონის ხაზით.

დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული მაზრის გზა-ტკეცილების და სასოფლო გზების შეკეთებას. საფუძვლიანად შეკეთდა ლაგოდეხისა და თელავის გზა-ტკეცილები, ნუკრიანის გზა.

გასულ წელს დამთავრდა წნორისწყლის წყალსადენი. სოფელ კარდანახში წყალსადენი დამთავრებული იქნება ერთ კვირაში.

კომუნალურ ქვე-განყოფილების მიერვე აშენებულია ბოდბის დასასვენებელი სახლი, რომელიც სრულიად დამთავრებულია და მომავალ სეზონისათვის იგი სრულიად მზად იქნება.

ქ. სიღნაღში აშენდა ავტომობილის გარაჟი, დანგრეულ იქნა მთავარ-ანგელოზის ეკლესია და მის გაყოლებით ძველი დუქნების შენობები მოედნის გაფართოების მიზნით. მათ ადგილზე კომუნალური ქვე-განყოფილება აშენებს საკუთარ ახალ დუქნებს, რომლებიც მალე დამთავრდებიან.

სიღნაღის უმთავრეს ქუჩებს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი. შეკეთებულ იქნენ შენობები ტეხნიკუმისა, კლუბისა, პარტკომისა და სხვა კომუნალური შენობები. ტეხნიკუმის შენობას გაუმართა კანალიზაცია.

ქალაქის ელექტრონის სადგურს ამ ჟამად აქვს სავსებით მოწყობილი ორი მოტორი, ერთი 40 ძალიანი და მეორე 28 ძალიანი. ეს მოტორები ახლად შეკეთებულ იქნენ მიმდინარე წელში. მთელს ქალაქში სინათლე ენთო სექტემბრამდე ღამის 1 საათამდე, ხოლო მას მერე ანთია გათენებამდე.

ქალაქის წყალსადენი განვლილ წელს მუშაობდა ნორმალურად, გარდა ზაფხულის თვეებისა, როდესაც სათავეში წყალი კლებულობს, რის გამო ქალაქს წყალი აღარ ყოფნის. ამ დეფექტის ასაცილებლად კომუნალურმა განყოფილებამ გამოძებნა ახალი წყაროები, რომელთა გამოყვანა ქალაქს უზრუნველჰყოფს მომავალში წყლით. მასალები უკვე შეძენილია და ახლო მომავალში შეუდგება მის განხორციელებას.

კომუნალური აბანო შესანიშნავია თავისი სისუფთავით და მოწყობილობით და მუშაობს რეგულიარულად. ასევე არ ითქმის სასაკლაოზე, რომელიც მოწყობილია ერთობ პრიმიტიულად. განზრახულია მისი სრული კაპიტალური რემონტი.

აწარმოებდა თავის საკუთარ მაღაზიას, რომლის მიზანია ბრძოლა კერძო ვაჭრობასთან და მუშა-მოსამსახურეთა დაკმაყოფილება უსაჭიროეს პროდუქტებით ხელმისაწვდომ ფასებში. უნდა სიმართლე სთქვას კაცმა, ეს მაღაზია ჩინებულად მუშაობს და აურაცხელი მუშტარი ჰყავს.

საადგილ-მამულო ქვე-განყოფილებამ დაამთავრა თავის მამულებში მოსავლის აღება. ეს მოსავალი წელს საშუალო იყო.

აქვს ორი წისქვილი, რომლებიც საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს, რის შემდეგ იგინი მოიცემიან დიდ შემოსავალს.

მიწის რეფორმა მთელ მაზრაში დასრულდა. მოწვეულია ცენტრიდან 10 მიწისმზომელი, რომლებიც მუშაობენ მთელს მაზრაში და ფიქსაციას უკეთებენ იმას, რაც გაკეთდა მიწის რეფორმის გატარების დროს.

საადგილ-მამულო კოლეგიამ გაარჩია 120 საქმე და მამულით დააკმაყოფილა 62 უმიწწყლო გლეხი.

ქიზიყის მთამბე.

სოფელ ქვენობანი (ოზურგეთის მაზრა)

სოფელ ქვენობანი მდებარეობს ხიდისთავის რაიონში, რომელიც დაშორებულია ოზურგეთის მაზრაზე დაახლოებით 17 ვერსით. ამ სოფელში კულტურული აღმშენებლობა დღესდღეის საგრძნობლად მოიკოჭლებდა. სოფელში არსებობს 4 წლიანი შრომის სკოლა, რომელშიაც მსახურობს 3 მასწავლებელი, სკოლის შენობა ეკლესიის შენობიდან იქნა გადაკეთებული. შენობა დღესაც დაუსრულებელია და მის დასრულებისათვის ზომებს ღებულობს ხიდისთავის რაიონის აღმასკომი, რომელიც საერთოდ დიდ დახმარებას უწევს ყოველივე კულტურულ საქმეს. ხსენებულ სოფლის დიდ ნაკლს შეადგენს ის, რომ მასში არ არსებობს კოოპერატივი და სამკითხველო.

აღნიშნულ სოფელში ა. წ. 1 დეკემბერს გაიხსნა 1 საფეხურის წ. კ. უ. სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიაც მსმენელები ერთგულად შეუდგნენ მეცადინეობას.

მადლობის ღირსია ხიდისთავის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სარდიონ ჯიბუტი და აღმასკომის თანამშრომელი აკაკი შარაშიძე, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან ხიდისთავის რაიონში წ. კ. უ. სალიკვიდაციო სკოლების დაარსებას.

მასწავლებელი **ნიკოლოზ გოგიტაური.**

აგრონომიული ტეხნიკუმი გურიაში

ქ. ოზურგეთიდან 22 ვერსის მანძილის დაშორებით, შოსეს მახლობლად მდებარეობს ყოფილი თავადის ერისთავის მამული, რომლის ნაციონალიზაცია მოახდინა ს. ს. ს. რ. მიწად-მოქმედების კომისარიატმა. მამული ბაღითა და მასთან მდებარე მიწით, რომელიც უდრის 27 დესეტინას, მიწად-მოქმედების კომისარიატმა გადასცა განათლების განყოფილებას. განათლების განყოფილებამ კი ამ ადგილში მოაწყო უმაღლესი საფეხურის ტეხნიკუმი. ტეხნიკუმში ჯერჯერობით მიღებულია 50—60 მოწაფე ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთაც დაამთავრეს შვიდწლედი. ნაწილმა მოწაფეებისამ და მასწავლებლებისამ დაიჭირეს შენობა სამამულო სახლში. აქვე არის მოწყობილი კლასებიც, კარგად მოწყობილი ფიზიკური კაბინეტი და ყოფილი მეპატრონის ერისთავის მიერ დატოვებული ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში 1000-მდე ტომი წიგნია სასოფლო-სამეურნეო შინაარსისა სხვადასხვა დარგებში. ბაღი, რომელსაც ტეხნიკუმისათვის აქვს სამეცნიერო-საჩვენებელი მნიშვნელობა, იმყოფება აგრონომის გამგებლობის ქვეშ. ტეხნიკუმის კურსში უმეტესად აგრონომიული საგნები შედიან; საჭირო სასწავლო სახელმძღვანელოები ყველა საგნებში პროგრამის თანახმად გამოგზავნილია ცენტრიდან.

როგორც ამბობენ, ახლო მომავალში ტეხნიკუმთან მოეწყობა ყველა მოწაფეებისათვის საერთო საცხოვრებელი სახლი.

კან—თან.

ზემო ჭალადიდის გლეხკომი

(სენაკის მაზრა)

ზემო-ჭალადიდის თემში უკვე 1923 წლიდან არსებობს გლეხკომი, მაგრამ მისი მუშაობა სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი, არ ყოფილა მაგალითი, რომ ადგილობრივ გლეხკომს დახმარება გაეწიოს ვინმე გაჭირვებულთათვის. ისინი მხოლოდ ატარებენ გლეხკომის სახელწოდებას, სხვა არაფერს, რაც უტეხს სახელს გლეხკომს. ეხლა საჭიროა გავიგოთ ვინ არიან ზემო-ჭალადიდის გლეხკომის წევრები: ყოფილი კულაკები და ჩარჩ-ვაჭრები (ზოგიერთები ეხლაც ვაჭრობენ). ამისათვის საჭიროა ზემო-ჭალადიდის თემში ახალი გლეხკომების არჩევა, რომლებსაც შეეძლებათ გაამართლონ თავიანთი სახელწოდება.

ახკორი: ვ. ზემო-ჭალადიდელი.

სამტრედიის სამკითხველო

ქალაქში არსებობს ერთი სამკითხველო, რომელიც წიგნებით ძლიერ ღარიბია. მკითხველები, ბიბლიოთეკიდან გატანილ წიგნებს უკან არ აბრუნებენ. სამკითხველოს გამგე ვერ არის ზრდილობიანი მკითხველთან მოპყრობაში, თუ ის მას თვალში არ მოეწონა. იმედია, რომ მრისხანე ქალბატონი მომავალში მაინც იქნება ლმობიერი.

სამტრედიელი.

პროვინციის ქრონიკა

— **თავდასხმა.** 3 დეკ. დილით ხონიდან ქუთაისში მიმავალ დილიჟანს თავს დაესხნენ შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და გაძარცვეს მგზავრები.

— **სპირტის ქარხანა.** აფხანაურის სახალხო მამულში (ქუთაისის მაზრა) დამთავრდა სპირტის ქარხნის მოწყობა. ქარხანა უკვე მუშაობს.

— **გორის კოოპერატიული ორგანიზაციები** ამჟამად მაზრაში აწარმოებენ ხილის შესყიდვას გლეხებიდან. უკვე დამზადებულია 400,000 ფუთი ვაშლი.

— **ახალი ხიდი.** ხულოში (აჭარაშია) ამჟამად სწარმოებს მდ. შუახევზე რკინა-ბეტონის ხიდის აგება. ჯერჯერობით შესრულებულია სამუშაოს ნახევარი.

— **მუშათა სახლი.** ხულოში სახლის ასაგებათ აჭარის საზოგადო სამუშაოთა ორგანიზაციების საზოგადო თათბირმა გადასდო 7.000 მან.

— **ახალციხის აღმასკომმა** რაიონებში დაგზავნა 9 პასუხისმგებელი ამხანაგი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩასატარებლათ.

— **გლეხკომის აგარაკები.** ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა 1924 წ. განმავლობაში შეაკეთა და მოაწყო 7 სრულებით გავერანებული აგარაკი.

— **მეფუტკრეობა.** დეკემბრის ბოლო რიცხვებში ქალ. დუშეთში გაიხსნება მეფუტკრეობის კურსები.

— **გორის სამაზრო გლეხკომს** ამჟამად აქვს 1.757 მან. ფულად, 5.449 ფ. პური, 869 ფ. ქერი და 8381 ფ. სიმინდი.

— **შეშის დამზადება.** ამჟამად ფოთის სატყეო რაიონში მუშაობს 1.000 მუშა-გლეხი, შეშის დასამზადებლათ.

პროვინციის ფოსტა

„ეკალს“. მოგვაწოდეთ განმარტება თქვენს კორესპონდენციაში მოთავსებული ცნობების უტყუარობის გამო („სიმართლე“) № 48.

„ქიზიყს მთამბეს“. წერილი, რომლის შესახებ გვეკითხებით, [illegible] გვიღია. კორესპონდენციები გზავნეთ.

ყველა ჩვენს კორესპონდენტებს. გამოგვიგზავნეთ კორესპონდენციები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის კამპანიის მსვლელობის შესახებ.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

„სინათლე“

11 დეკემბერს სახელმწიფო დრამის მიერ წარმოდგენილ იქნა ი. გედევანიშვილის „სინათლე“. უნდა ვაღიაროთ, რომ ავტორის ნამდვილი „სინათლე“ მხოლოდ ოდნავად ბჟუტავდა ამ საღამოს.

საერთოდ „სინათლე“—ეს ნამდვილი საბავშვო ზღაპარია და მას დარბაისლური კრიტიკა ვერც გაიტანს ფართე სამსჯავროზე. მიუხედავათ ამისა ხალხს ძალიან მოსწონს იგი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, და მის დადგმაზე ყოველთვის აურებელი ხალხი იყრის თავს. სახელმწიფო დრამამაც სწორეთ ამ ხალხის მოსაზიდათ დადგა იგი. მაგრამ ამ ნაწარმოებს აღარ აქვს თავისი წმინდა ბავშვური ხასიათი: ადვილად და თავით ბოლომდის გაუშარჟებიათ მაგრამ ამ გაშარჟებას ვერც სავსებით მოუსპია სერიოზული ნასახი პიესისა და ვერც სავსებით მოუნათლია იგი პიკანტური მხიარულობით შარჟისა.

ჩვენ გვესმის შარჟი მოხაზული, რელიეფური, რომელიც იწვევს მაყურებელში საღ სიცილის ნაკადს. ასეთი [illegible] მასხარაობა კი, როგორიც იმ ღამეს ვიხილეთ მხოლოთ ირონიულ ღიმილს იწვევდა აუდიტორიაში.

თამაშობის შესახებ რა ითქმის? სერიოზული კილო მეფე ჯიმშერის როლში უხდებოდა [illegible] ჩხეიძეს. შარჟულ ტიპებში კარგები იყვნენ ჩინელ დ. [illegible] სარჩიელ ძე და [illegible] დ. ყავია. ორთავე ქართულ სიტყვებს ამბობდნენ, მაგრამ ისეთი გადაგვარებული კილოთი, რომ კაცს ჩინური და სპარსული ლაპარაკი ეგონებოდა.

ფერიების როლში ისევ შ. ლეა ლამბაშიძის ცქერა გვირჩევნია, ვიდრე თამარ ჭავჭავაძისა. მაზე შეიძლებოდა [illegible], მაგრამ ყველას ეჩხირებოდა თვალში და ძნელია გვერდის ახვევა. იმისი გარეგნობა ყოველგვარ ლაზათიანობის გარეშე იდგა. სჯობია მეორეთ აღარ ვიხილოთ.

სხვა ყველანი ჩვეულებრივი თვალსაზრისით წესიერები იყვნენ.

დადგმის მხრივ ფერადოვნებაა და ერთგვარი სილამაზე არ აკლდა სცენას ეს ერთი და ერთი მხარე, რომელიც ასიამოვნებს მაყურებელს.

საერთოდ სეზონის დასაწყისიდან ერთი შთაბეჭდილება რჩება: სახელმწიფო დრამა ჯერ ისევ გზების ძიებაშია და როგორც ეტყობა ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეს ძიება.

ლელო.

სახელმწიფო ოპერა

ქუმსიაშვილის მეორე დებიუტი

ახალგაზრდა მომღერალი გამოვიდა აბესალომის პარტიაში, რომელიც არა ნაკლებ საპასუხისმგებლოა, ვიდრე მალხაზის პარტია „დაისში“.

უნდა აღინიშნოს, რომ ქუმსიაშვილმა ამ პარტიაშიც გამოაშკარავა თავისი ნიჭის დადებითი მხარეები—ლამაზი ხმა (განსაკუთრებით საშუალო რეგისტრებში), მოფიქრებული სიმღერა (ლამაზი ფრაზიროვკა) და მუსიკალობა.

ახალგაზრდა მომღერალმა მუსიკალურათ შესრულა მესამე აქტის მშვენიერი არია და ერთგვარი სულიერი განწყობილება შექმნა აუდიტორიაში. მთლიანი სურათის და დამთავრებული შესრულების მოსაცემათ საჭიროა მიმიკის გაუმჯობესება და ღია ხმოვნებისათვის თავის განებება.

რასაკვირველია, ეს ნაკლი ჩქარა გაქრება ამის მაჩვენებელია მომღერლის ბუნებრივი ნიჭი. ანსამბლებში (კვარტეტი) საჭიროა მეტი ხმოვანების გამოჩენა.

ქუმსიაშვილს უეჭველათ აქვს არტისტიული ნიჭი. პირველმა გამარჯვებამ ის არ უნდა გაიტაცოს. მას არ უნდა დაავიწყდეს. რომ მან ჯერ კიდევ გრძელი გზა უნდა გაიაროს, სანამ საბოლოოთ ჩამოაყალიბებს თავის სცენიურ და ვოკალურ სიქს.

თურმანის პარტიას მღეროდა ქარცივაძე. სამწუხაროა, რომ მომღერლის ხმა ყელის ხასიათისაა; ქარცივაძემ გადაჭრით უნდა მოჰკიდოს ხელი ხმის სხვანაირათ დაყენებას.

ამ საღამოს ქარცივაძემ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია კარგათ იმღეროს, ხმის ფარსიროვკის გარეშე, საინტერესოა პარტიის სცენიური მხარე. მრავალფეროვანია მიმიკა, მაყურებლის წინ იშლება თურმანის სულიერი მღელვარების სურათი.

პ. ზ.

— **მ უ შ ა-მ ს ა ხ ი ო ბ ი ს ი უ ბ ი ლ ე.** შაბათს, 13 დეკემბერს ბორის ძნელაძის სახელობის კლუბში გაიმართება მუშა-მსახიობის ვანო მაღლობლიშვილის იუბილე. წარმოდგენილი იქნება 1 „სიმდიდრის მსხვერპლი“, 3 მოქ. 2 „მე თუ არა, შენც არა“, კომ. 1 მოქ.

— **სანიტარულ-განათლების** წარმოდგენების გამართვა დაიწყება ახლო ხანში ტფილისის ყველა უბნებში.

— **ოპერა.** დღეს წარმოდგენილი იქნება გოფმანის ზღაპრები.

— **პოლენოვის გასტროლი** გაიმართება 15 დეკ. რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ტოლსტოის: „მეფე თედორ იოანესძე“.

— „ტარდში“ დღეს გასტროლი ბორისოვის. წარმოდგენილი იქნება: „[illegible]“.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „მზის დაბნელება საქართველოში“.

დღეს კინოებში

— მინიონი—„ინდოეთის საიდუმლოება“.

— პალასი—„ცირკის მეფე“ მე-5 სერია.

— ოაზისი—„სამი სიცოცხლე“ 1 და 2 სერია ერთად.

— სოლეი—„ცხოვრების ნაძირალი“ ლისენკოს და მოზჟუხინის მონაწილეობით.

— არფასტო—„საუკუნეთა წყვდიადიდან“.

შეცდომის გასწორება

კონსერვატორიის მოწაფეთა საჩვენებელი საღამოს მუსიკალურ ანგარიშში გაიპარა სამწუხარო შეცდომა: სტუდენტი სვანიძე ვოკალურ ხელოვნებას სწავლობს არა პროფესორ ზელიონაიასთან, როგორც ეს შეცდომით აღნიშნული იყო რეცენზიაში, არამედ სიმღერის კლასის მასწავლებელ კირილოკასთან.

აჩირებული პრეტენზიები *)

(პასუხად ნ. ქურიძეს-ზომლეთელს)

„კომუნისტის“ № 278-ში ნ. ქურიძე ათავსებს წერილს: „შრომის ქვეყანა“ და სხვისი ნაშრომის მითვისებელნი“, რომელშიაც აცხადებს, რომ უნდა გააცნოს საზოგადოებას ი. მეტრეველის და გ. ჩიქობავას მიერ შედგენილი სახელმძღვანელო—„შრომის ქვეყნის“ ბნელით მოცული ისტორია(?!). მკითხველი რამე სენსაციას მოელის და ქურიძეც უმართლებს მოლოდინს—თურმე ხსენებული წიგნი (რომელსაც ქურიძე ქრესტომატიას უწოდებს,—იმდენად სწორად ესმის მისი ხასიათი და დანიშნულება!) დაუმუშავებია მას, ქურიძეს, კოლექტიურად, ორ სხვა ამხანაგთან ერთად, მაგრამ შემდეგ მეტრეველი და ჩიქობავა გახდარან (?) წიგნის ავტორები, ბოლოს ქურიძის „დიდი ღვაწლი“ არად აღუნიშნიათ ამ „გალაღებულ ავტორებს“.

მოკლედ საქმე შემდეგშია: ამ წლის იანვრის დამლევს მე და ამხ. მეტრეველმა დავიწყეთ მოზრდილთათვის კომპლექსიური მეთოდით სახელმძღვანელოს შედგენა. რვა თვის მუშაობის შემდეგ, სექტემბრის შუა რიცხვებში, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული წიგნი წარვადგინეთ განსახილველად პოლიტგანათლების მთავარმართველობის თავმჯდომარეს, ამხ. [illegible] რუხაძეს. მან კი მოიწვია ქურიძე წიგნის განსახილველად.

სწორედ იმ პირველ ღამეს, რომელსაც იხსენიებს ქურიძე, წიგნი მოწონებულ იქნა და ამხ. რუხაძემ, რომელიც შვებულებაში მიდიოდა, დაგვავალა ამხ. მეტრეველს და მე დაჩქარებით დაგვებეჭდა ეს წიგნი. უკვე 50 გვერდი დაბეჭდილი იყო, როდესაც იმ „პირველი ღამეს“ დიდი ღვაწლის გაწევის უფლებით ქურიძემ გვთხოვა სარედაქციოდ მიგვეცა მისთვის წიგნის მასალები. მაშინ როგორც ჩვენთვის, ისე მისთვის აშკარა იყო, რომ მას უნდოდა წიგნის რედაქციის გაკეთებისთვის მიეღო გასამრჯელო ნამუშევარის კვალობაზე, და რადგანაც სამუშაო სწრაფად უნდა შესრულებულიყო, ხოლო ჩვენ ვერ ვასწრებდით დედნების წინასწარ გადათვალიერებას - მთელი მასალის მესამედზე ნაკლები, 114 გვ. და 1 სტრიქონი, (წიგნი შეიცავს 368 გვ.) გადავეცით მას გადასათვალიერებლად. მაგრამ ქურიძის ზერელე გადათვალიერებამ უფრო გაგვიძნელა რედაქციის საქმე და ჩვენ თვითონ ბეჭდვის დროს გვიხდებოდა როგორც სტილისტიურ-გრამატიკული, ისე ტეხნიკური რედაქციის გაწევა ასე რომ მთელი წიგნის რედაქცია გვეკუთვნის სავსებით ჩვენ, შემდგენელთ. ამას დოკუმენტებით დავამტკიცებთ.

რაც შეეხება წიგნის მონათვლას ქურიძის მიერ, ეს აშკარა სიცრუეა. „ახალი ქვეყანა“ არ ყოფილა არც ერთი ვარიანტი და თუ ქურიძეს აინტერესებს—კიდევ რა ვარიანტი არსებობდა გარდა „შრომის ქვეყნისა“, იკითხოს—პოლიგრაფ განყოფილებაში და 1 სტამბაში რა სახელწოდებით გადავეცით ეს წიგნი დასაბეჭდად. რათ შევცვალეთ წინანდელი სახელწოდება და დავარქვით „შრომის ქვეყანა“, ამას ქურიძეც კი მიხვდებოდა, რომ გასცნობოდა წიგნის შინაარსს, მაგრამ მიუხედავათ ლიტონი სიტყვების წამოსროლისა—„წიგნს ბლომად მოეპოვება ნაკლი“-ო, დღესაც არ არის გაცნობილი აწ წიგნს!...

დასასრულ, ვაცხადებ, რომ მე არ შევპირებივარ ქურიძეს მისი „ღვაწლი“ აღმენიშნა წიგნში ან სადმე, ან და რა უფლება მქონდა პერსონალურად დავპირებოდი, როდესაც მე მყავდა წიგნის მეორე ამხანაგი.

ყველა ამის შემდეგ (თქვენივე სიტყვებით) გეკითხებით თქვენ, ნ. ქურიძევ, რა ეთიკა და სამართლიანობა მოითხოვდა სრულიად „უდანაშაულო“ ადამიანი პასუხისმგებელი გაგვეხადეთ საზოგადოების წინაშე იმ წიგნის დამუშავებაში, რომელშიაც თქვენივე შეხედულებით ბლომათ მოიპოება ნაკლი. მაგრამ, როგორც თვითონ კარგათ მოგეხსენებათ, სხვაგან მარხია ძაღლის თავი და მის ამოთხრა არც ისე სასიამოვნო იქნება თქვენთვის.

ბენ. ჩიქობავა.

P. S. ჩემ მიერ აღნიშნულ მუშაობისთვის ჯილდო 100 მანეთის სახით ეცოტავა და არ მიიღო ქურიძემ.

ბ. ჩ.

---

*) ამ საკითხზე ვსპობთ კამათს.

რედ.

ჩვენი ფოსტა

გორის სარაიონო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გამგეობას. ძველი ფულის გადაუხდელობის გამო—გაზეთები არ გეგზავნებათ.

სვირი. „ეკო“. ამხ. ჩიტორელიძეს. გეგზავნებათ სისტემატიურად ორი ცალი „კომუნისტი“. მიმართეთ ადგილობრივ ფ.-ტ. განყოფილებას.

ჭიათურაში. მასწავლებელს აპ. გოგსაძეს. გაზეთი გეგზავნებათ ფოსტით 1 დეკემბრიდან.

კისლავოდსკი. ჯაფარიძეს. გაზეთი გეგზავნებათ ფოსტით 1 დეკემბრიდან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ა რ ს ე ნ ა ლ ი ს რ ა ი კ ო მ ი იუწყება: კვირას, 14 დეკემბერს დილის 11 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია არსენალის რაიკომის **პარტსკოლების ხელმძღვანელების და მამასახლისების თათბირი.**

დასწრება სავალდებულოა ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებისთვის: ხელმძღვანელები: აროიანი, ყაზაროვი, გრეჩკინა, კრუგლიკოვი, ელიავცევა, პავლენკო, გრიშჩენკო, ზილბერმინც, შვარც, ეგიაზაროვი, რომანოვი, ვოლკოვი, კოლუმბეკოვა, ძიძიგური, სერაძე, ოდილავაძე, სირკინი, პოლოსოვი, გვერწითელი, არუთინოვი, ისააკიანცი, ხარმანდარიანი, ივანნიკოვი. მამასახლისები: ჟონეევი, კაჩაური, ხელაია, ნაიდენოვი, კარსავინი, კალაშნიკოვი, ივანოვი, იაკოვლევი, ბარხუდაროვი, გოზალოვი, აზაროვი, სურიჯანოვი, გვენცაძე, დოლუზაშვილი, მათეოსიანი, აზათიანი, გალუმიანი, სუჩინიანი და ბეზრუჩკო.

საგ. საპროპ. განყოფ. გამგე კ ო გ ა ნ ი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის და მასთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის რკ. გზ. პროფსექცია განმეორებით აცხადებს იმ სტუდენტების და მუშფაკელების საყურადღებოთ, რომლებიც ითვლებიან რკ. გზის კავშირის წევრებად, გამოცხადდნენ კვირას, 14 დეკემბერს მუშფაკის შენობაში (სამოსწავლო შესახვევი—ყოფილი რეალური სასწავლებელი) დილის 10 საათისათვის მე-4—2 ჯგუფში ამხ. ფ ა რ ც ხ ა ლ ა ძ ე ს თ ა ნ ახალ რეგისტრაციაში გასატარებლათ. გამოცხადება სავალდებულოა.

მდივანი ი. ფ ა რ ც ხ ა ლ ა ძ ე.

— ორშაბათს, 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე საქ. კომპ. ცეკას სააღრ. განმან. განყოფილებაში მოწვეულია თათბირი უმუშევრობის საკითხის განსახილველად, რომელზედაც ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა:

საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებული—თ. ღლონტი, ს. მ. უ. ს.—ყოყიკაშვილი, საქ. ს. ხელმწიფო ვაჭრობიდან—ამირაღოვი, „ჩემო“—ვაშაძე, შავი ქვის სამართველო—მოდებაძე კარპი, სამრეწველო ბანკი—სიმონ ჟღენტი, ცეკავშირი—ელეოდოვი, წარმოკავშირი—დუმბაძე, „ელმაშტრესტი“—დაგუნოვი, „ხლებპროდუქტი“—გრიგორიანი, გაიკი, „კამვოლისტრესტი“—გურგენიძე, „მოსტრიკოტაჟი“—კაზაროვი სტეფანე, „დეკსინდიკატი“—მამულოვი რაფიელ, სასოფლო სამეურნეო ბანკი—ჩიბინეიშვილი, შინა-ვაჭრ. კომისარ.—გამყრელიძე, „წითელი ქართლი“—მახარაძე დავითი, „პროდსინდიკატი“ ქანტურია ლევანი, განათლების კომისარიატი—მამულაიშვილი, საპაის ტრესტი—აგარონოვი, მელითონეთა განყოფ.—კალანდაძე ბენო, „მეხარ ზავოდი“—ბოჭორიშვილი, სატყაო ტრესტი—ავატკოვი, სახღვინტრესტი—კიკნაძე გიგო, თამბაქოს ტრესტი—პევცოვი, „გრუზშველპრომი“ გრინიკი.

ს. კ. პ. ცეკას სააღ. განმანაწ. განყ. გამგე ლ ი ც ი ნ ო ვ ი.

შაბათს, 13 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება შემდეგ დაწესებულებათა უჯრედების ბიუროების კონფერენცია:

აღმასკომისა, სახელმწ. ბანკისა, ფოსტა-ტელეგრაფის, ფინანსთა სახ. კომის. რწმუნებულის, ამიერ-კავკ. ფინ. სახ. კომისარიატისა, საკავშირო კოოპ. ბანკი, მუშ. და გლეხთა ინსპექცია, ნავთსადგურთა განყ., სახალხო გამოცემა, რეზინოტრესტი, ამიერ-კავკასიის და საქ. საგანგ. კომისია, ცენტ. სტატ. სამმარ., წარმოება [illegible] „წითელი ქართლი“, საქალაქო მილიცია, იუსტიციის სახ. კომისარიატი, შინაგან სახ. კომისარიატი, სახალხო კომისართა საბჭო, „ხლებოპროდუქტი“, საბინაო [illegible], განათლების სახ. კომისარიატი, ცეცხლის მქრობ. რაზმი, საწარმოოო ბანკი.

დღის წესრიგი: 1 საბჭოთა უჯრედების მუშაობის შესახებ; 2 საბჭოთა უჯრედების მონაწილეობის შესახებ ეკონომიურ თათბირებში.

დასწრება სავალდებულოა ყველა ზემოჩამოთვლილ დაწესებულებათა უჯრედების ბიუროებისათვის.

მდივანი ს ტ უ რ უ ა.

— შაბათს, 13 დეკემბერს, საღ. 5 საათზე „რემედას“-ის ცეკას ბინაზე (რუსთაველი 22) დანიშნულია საფინანსო კომისიის სხდომა.

სხდომას უნდა დაესწრონ ამხ. ამხ. ნ. მახარაძისა, ვ. გეგეჭკორი, რუხაძე არ., ორხელაშვილი მარ., არაბელოვა, ბობოხიძე, პელიძე, ბაგდატიევა, ჯაიანი, ზაქაი, ენუქიძე და გიორგაძე.

მდივანი ხვანაძე

— დღეს, 13 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ პარტკლუბში გაიმართება კამათი „საბჭოთა კინომრეწველობის შესახებ“ მომხსენებელი ამხ. ს უ ტ ი რ ი ნ ი.

შესვლა მხოლოდ პარტბილეთებით

— სამშაბათს, 16 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ პარტკლუბში შესდგება მეცადინეობა ქართულ წრეების ორი ჯგუფისა (უფროსის და უმცროსისა). ჩაწერილ ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდნენ თავის დროზე ჯგუფებში დასანაწილებლათ.

პარტკლუბის გამგეობა

— დღეს, შაბათს, 13 დეკემბერს საღამოს 7 საათზე მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება „ქალაქის სასაკლაოების უჯრედის დღე“.

სასაკლაოს მუშების ძალებით დადგმულ იქნება შემდეგი პიესები:

1. „მამა და შვილი“ ერთი მოქმედება. რუსულათ. 2. „შეშინებული ანთიმოზი“ ერთი მოქ. ქართულათ. 3. „პასუხისმგებელ მუშაკის ცოლი“, ერთ მოქ. სომხურათ.

პარტიის წევრებისა და მათი ოჯახებისთვის შესვლა უფასოა.

— ქალაქის რაიკომი იწვევს ამხ. დიმიტრი ხუციშვილს ყოფილ თანამშრომელს მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოსი.

მდივანი სტურუა

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: შაბათს, 13 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში მოწვეულია **ქალთა ორგანიზატორების თათბირი.** ყველას დასწრება სავალდებულოა.

ქალთა განყ. გამგე **კობალაძე.**

პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი.

— განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. სამდივნო ამით აცხადებს, რომ კავშირის ყველა უმუშევარი წევრი, რომელნიც საცხოვრებელ ბინის მიხედვით მიმაგრებულნი არიან ადგილკომებზე, უნდა გამოცხადდნენ ადგილკომებში ა. წ. 20 დეკემბრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული იქნებიან კავშირიდან.

ც. გ. სამდივნო.

მეუღლე კოკოშა (სარა) პავლეს ასული აფხაზავასი აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 14 დეკემბერს, სოფელ მარანში ნამწარეულის წმიდა გიორგის სასაფლაოზე ნაშუადღევის 2 საათზე გადახდილი იქნება მისი საყვარელი ქმრის

ლევან აფხაზავას

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის პანაშვიდი. 3033 1—1

ქვისლი სარდიონ ვახტანგის ძე ჩიგოგიძე და ცოლი მისი კატო თავიანთი შვილებით: ლოლა, გოგუტუნ, კუშუ და ხუტიათი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, 14 დეკემბერს, სოფელ მარანში ნამწარეულის წმიდა გიორგის სასაფლაოზე ნაშუადღევის 2 საათზე გადახდილი იქნება პირველის საყვარელი ქვისლის, მეორეს—სიძის და დანარჩენების ბიძიას

ლევან აფხაზავას

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის პანაშვიდი. 3033 1—1

ერთად ერთი შვილის დამკარგველნი მამა იაკინთე გიტოს ძე და დედა დესპინე იოსების ასული შევარდნაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ კვირას, 14 დეკემბერს, ვერის სასაფლაოზე, დღის პირველ საათზე გადახდილი იქნება მათი უძვირფასესი

ელენა შევარდნაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის მოსაგონარი პანაშვიდი. 3038 1—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები ალექსანდრე ალექსის ძე ცაგარელი და მეუღლე მისი ქეთევანი დიმიტრის ასული შვილებით: შალვათი, კოტიკოთი და თამარათი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ პირველთა დაუვიწყარ შვილის და მეორეთა საყვარელ ძმის

ალიკოს

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე, კვირას, 14 დეკემბერს. კუკიის სასაფლაოზე, დღის 12 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. 3035 1—1

დამწუხრებულნი მეუღლე ოლღა გრიგოლის ასული შვილები, სიძეები და ძმები უცხადებენ მადლობას ყველას, ვინც პირადი დასწრებით, დეპეშებით და წერილებით

სიმონ ბეჟანის ძე
რუხაძის

გარდაცვალების გამო გამოსთქვა თავისი თანაგრძნობა. ნის. 371 1—1

აკაკი, კაპიტონი, გრიგოლი, შალვა და ბიკენტი დიმიტრის ძენი, ნინო, ილია და მარიკო ბაქრაძეები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა მათი საყვარელი ბიცოლა

ტასიკო (ანასტასი) თომას ასული

მეუღლე იოსებ ბაქრაძისა. 3034 1—1

სახელმწ. დრამა
დღეს, 13 დეკემბერს
მზის დაბნელება
საქართველოში
კვირას, 14 დეკემბერს,
მათრახის პანაშვიდი
ნ. № 361 3—2

იყიდება ტომრების დიდი პარტია
პირობების და ფასების გაგება შეიძლება მუშკოოპში, კირკის ქ., № 7. სამრეწველო არტელში.
ნ. 365 1—1

სახელმწ. ოპერა
დღეს, 13 დეკემბერს,
გოფმანის ზღაპრები

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, კალოიანოვის ქ. № 20. 9205. 25—11

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
[illegible] ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს საბებიო დახმარებას. მიღება დილის 8—10 მდე, საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35.
25—4

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).
25—3

ექიმმა
დიტრიხმა
ავადმყოფობის შემდეგ
განაახლა
ავადმყოფების მიღება გერმანელთა საავადმყოფოში
ქვ. № 37—25—15

ექიმი
გ. გ. მეგრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
13—2 2746

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 25—14 № 2850

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მინსე
ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.
ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.
პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
№ 2969 25—7

ექიმმა
ზანდუკელმა
განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი და ნერვიული
სნეულებანი
ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათამდი. ლენინის (ოლღას) ქ., 49, ტელ.—82.
№ 2797—25—19

დავკარგე პარტიული ბილეთი № 499133 გიორგი ილიასძე ჩუბინიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3050—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა გაბრიელ კაპოშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ 3048—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ და სამხედრო კომისარიატის აღრიცხვის მოწმობა ალექსანდრე ნიკიფორესძე ბეჟიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 3051—1—1

დავკარგე დამზღვევ კასის წიგნაკი მარია გეურქას ასული ალიბეგოვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ 3036—1—1

დავკარგე საარჩევნო ბარათი № 628 [illegible] მოძრაობის დარგის 2 განყოფილებიდან ალექსანდრე დიმიტრისძე ჯიქიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3041—1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 4 მოცემული მე-9 კომისარიატის სამხედრო მაგიდიდან გრიგოლ ბოჯგუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3047—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა ახალსენაკის უბ. მილიციის უფროსისაგან მოცემული ილიკო ივანესძე ბოჭორიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3056—1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი მოცემული ჩოხატაურის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ ვანო ერმალოსძე მახარაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3045—1—1

დავკარგე კავშირის წიგნაკი მოცემული ქუთაისის კავშირიდან 1922 წლის. ტარასი კონსტანტინესძე წულაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3043—1—1

დავკარგე საწევრო წიგნაკი მოცემული თბილისის საბჭოთა მოსამსახურეების კავშირიდან 923 წ. 20 დეკ. ალ. ბეჟანიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3042—1—1

დავკარგე მონადირეთა კავშირის წიგნაკი № 739 პეტრე ვლადიმერისძე ვასილიევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3041—1—1

დავკარგე რკინისგზის სამმართველოს მიერ მოცემული წლიური სამსახურო ბილეთი და სურათი 30 4. მასთან ერთად ე. წ. „რაზოვოი“ ბილეთი ხუთი სულისა ეფემია ჩარახიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3039—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ნაგომრის რაიონის აღმასკომის მიერ № 186. კონდრატი დავითისძე ლომაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ 3037—1—1

დავკარგე 1. სამოწმო მოწმობა ლანჩხუთის ტეხნიკუმის, მიერ მოცემული № 37. 2. საბუღალტრო კურსების პირადობის მოწმობა [illegible] და ზუმბაზისა № 39. 3. პირადობის მოწმობა ხიდისთავის რაიონის (ასკანის თემის) მიერ მოცემული. 4) სიღარიბის მოწმობა, როგორც ადგილობრივ გლეხკომიდან, ისე აღმასკომიდან გაცემული ბაბილინა ეტლიას ასული დოლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3040—1—1